


0 3 0 3 0 6

თ ვ 0 9 6 0



წელიწადი პირველი

№ XI

ივლისი 1898



თ ვ 0 9 6 0

თუ. M. შარაძე მ. კ. ნიკ. 21. სტამბა შარაძისა

ნო. № 21.

1898.

განვითარება

I

83.

I	პოეტის პროგრამა	1
II	შეცვლებები	3
III	<u>ახალი გმირი</u>	9
IV	ჩავს მეგობარს.	1
V	საგულისხმო	3

განვითარება

II

VI	<u>თამარ-ცბიერი</u>	9
----	---------------------	---

განვითარება

III

VII მოხადებს რათა აჭვთ წითელი ფეხები?


ჩაწერილი ალექსანდრე ღავითის აე მაჩაბლისაგან, 1

VIII სესიკი ზაულაშვილი — მისივე

IX არაკი — მისივე 2

ა კ ა კ ი ს

0 3 0 9 6 0



წელიწადი პირველი

№ XI

ივნისი, 1898

თბილისი

თუ. მ. შარაძე ი ხ. ლ. ქ. 21. ||| სტამბა შარაძისა და ამს., ნიკ. № 21.

1898

Дозволено цензурою. Тифлисъ, 20 Июля 1898 г.

ପୁନ୍ତୁରୁ ଶ୍ରୀ

ପାନ୍ଦ୍ରାଜ୍ୟ ପରିଷଦ

I

୩୩-

I	ଅମ୍ବାତିଲେ ଅନ୍ଧାରାଯା	1
II	ଶୋଭାକାଳେଖା	3
III	ବେଳାଲୀ ଗମନା	9
IV	ରୋମ ପଥଗମନା	1
V	ସାଧଶୂଳିକାରୀ	3

ପାନ୍ଦ୍ରାଜ୍ୟ ପରିଷଦ

II

VI	ତାମାର-ପଥଗମନା	9
----	--------------	---

ପାନ୍ଦ୍ରାଜ୍ୟ ପରିଷଦ

III

VII	ପଥଗମନା କାରା ଆଜାତ ଫିଲିପ୍‌ପୁରୀ ପାନ୍ଦ୍ରାଜ୍ୟ
-----	--

ହାତ୍ୟକାରିଙ୍କ ଲାଲାକାନ୍ଦର୍ଜ ଲାଗିତିଲେ ଏ ମାହାତ୍ମାଗାନ୍ 1

VIII	ଶେରିକା ଚାନ୍ଦାଚାନ୍ଦିଲୀ—ମିସିଗ୍
------	------------------------------

IX	ଅନାମି—ମିସିଗ୍	2
----	--------------	---

თვისერი „პრეზენტი“

გამოვა ყოველი თვის პირველ ოიცხვებში.

წელიწადი ითვალისწილდა ენგენისთვიდან ენგენისთვემდე.

„ქრემული“ ცალკე ნომრობით ჯრ გაიუიღება.

წლიური ფასი თბილისში მცხოვრებთათვის 6 მანეთია, ხოლო ავკასიის და რუსეთის სხვა ქალაქებში გაგზავნით—7 მან. ნახევარი ილით—4 მან.

რედაქტირა არის სოლოლაკში, „ნაგორნი“ ქუჩაზე,
ახლი № 19.

ადრესი: თიფლის „კრებული“. ივლისი, დაბა, სოლოლაკი, № 19.

„ქრემულის“ რედაქტირა გულითადს მაღლობას უძღვნის ბ-ნი
ივანე მერაბის ძეს ორაზელაშვილს 30 მ. გამოგზავნისთვის, რო-
მელიც მოხმარდება ზეპირ-სიტყვაობას.

პრეტის პროგრესი.

ონც კი არ არვებს ქვეყანას,
ის უკელი ფუჭი ბარვია...
სულ ბულბულობაც არ ვარგა,
ზოგჯერ უორნობაც კარგია.

გადავიქცევი ბულბულად,
თუ ვაშლილს ვხედავ უკავილსა,
მაგრამ თუ ვნახე მმორ-ლემი,
უორანს მიუბაძვ წხავილსა.

ჭირები ზარს ვიტევი საცოტლოს
და ლისინში «მრავალ-ქამიერს»,
გარჩევა უნდა აფ-კარგსა
და დოო გულის თქმას წამიერს.

მაქებარი გარ ერთგულის
და მგმობი ქამუნის მტერისა,
მათი ჰასუხის მიმცემი,
საკადოის-შესაფერისა.

მოუგრისთვის თავ-დადებული
ბულბული ტკბილად მსტყენარი,
მტრის თვალში მუდამ გველი გარ
და ძალლი მუეფარ-მებენარი.

მოუგრებს გუეგარ.. მტრებს ვძულვარ,
ეს კანონია ცხოვრების,
მაგრამ მე გაურჩეველად
კარგის მდომი გარ თვით მტრების.

რაც დღეს ქართულ ენაზე წიგნები, წიგნაკები და პროშურები იძეჭდება უანგარიშმა, მაგრამ, სამწუხაროდ, უმეტესი მათგანი სრულიად უფარგისი და უმნიშვნელოა. რამე სარგებლობის მოტანის ნაცვლად, პირ-იქით, ენასა რყვნიან, გრძნობას აჩლუნგებენ და გონებას ალაყებენ. ასში რომ ერთი-ორი რიგიანი გამოერის, ისიც დიდი ლვოს წყალობაა.. ამ გარემოებამ ბევრი დააფიქრა ჩვენში და მეც თანახმა ვარ მათი, მაგრამ იმავე დროს არ შემიძლია, არ ალვიარო ისიც კი, რომ ეს საზოგადო მოვლინებაა!. სადაც ერთი რამ კარგია, იქვე ათასი ცუდია. პური ისე ვერ ამოვა ყანაში, რომ იქვე ლვარა ძლმა და გორკალამაც არ იჩინოს თავი. სადაც ერთი უვავილი გაიშლება, იქვე ირგვლივ უთვალავი ბალახ-ბულახი და უსარგებლო მცენარეც ამოდის!. იქ სადაც ოქროს მაღნებია, ასი და ორასი საპალნე მიწა-ტალახი უნდა გადაარჩიონ, რომ მცირეოდენი ოქრო გამოილონ: საქმე მხოლოდ გარჩევაა და ეს გარჩევა კი ყველას არ შეუძლია. ზემო ხსენებულ წიგნაკებსაც გარჩევა უნდა, რომ მკითხველმა ურიგო მათგანი თავიდან აიშოროს ტრიკიანს კი პირდაპირ მისწვდეს. ეს მოვალეობა კინრად აძევსთ უურნალ-გაზეთებს, მაგრამ ისინი კი თავს არ

იწუხებენ. მათი შენიშვნები ამ წიგნაკების შესახებ საწორეთ სასაცინოა, რომ სამწუხარო არ იყოს. აი მაგალითი: „ამ დღეებში გამოვიდა ესა და ეს წიგნი ბატონ კუდაბზიკაშვილისაგან დაწერილი. წიგნი სუფთად არის გამოცემული და ღირს ხუთი კაპეიკი (ხუთ კაპეიკათ) გვარიანი სქელი წიგნისა და ამიტომ ძვირი არ არის და სხვანი..“ „აგრეთვე გამოვიდა ამა და ამ ცნობილი მწერლის თხზულება. წიგნი პატარაა და ფასი კი დიდი აძვეს და არც სახალხოა და სხვანი“. ახლა ისიც უნდა იცოდეს მკითხველმა, რას ეძახიან ეს რეცენზეტები სახალხო წიგნს და რას არა?.. ის წიგნი, რომელსაც ერთ შაურზე მეტი ფასი არ აძვეს, მათი აზრით სახალხოა; გინდ უგნურების დომხალიც იყოს, და უთითებენ მკითხველებს, რომ შეაძენინონ. და თუ წინგი შაურზე მეტი ღირს, გინდ მართლა კარგი რამეც იყოს, სახალხოდ არ მიაჩნიათ. ამ გვარი სასწორ-საზომი ერთხელვე დამყარდა ჩვენში და გამორკვევას ველარავინ ახერხებს. მკითხველებს კი რაღაც ერთი და ორი ცუდი წიგნი ჩაუვარდებათ ხელში, მერე საზოგადოთაც გულს გაიტეხენ ყველაზე. მართალიც არის!. ბაღში რომ ყვავილების მოკრეფა გინდოდეს და ეკალნას ვერ გაატანო, მაშინ ვარდის მოწყვეტის სურვილიც დაგეკარგება, თავს დაანებებ და გამრბრუნდები უკანვე. — აგრე რამდენიმე წელიწადია რაც „მწყემსის“ რელაქცია აბეჭვდინებს პატარ-პატარა იაფ-ფასიან წიგნაკებს. ისინი მართლა რომ სახალხო არიან, სულსაც არგებენ და ხორცასაც, და მათი შეძენა ყველასათვის საჭიროა. სირცხვილია და დიდი ცოდვაც, რომ ის წიგნაკები ყოველ ოჯახში არ მოიპოვებოდეს!. მათი ნაკლი მხოლოდ ის არის, რომ კორექტურული შეცდომები შიგა და შიგ ბევრია,

მაგრამ ან კი რა ვქნათ, რომ დღეს ჯერ-ჯერობათ კიდევ ბეჭედის საქმე ჩვენში რიგზე ვერ არის დაყენებული და მისთანას ვერას ლაპტევებინებ, რომ არ დამახინჯდეს ზოგი ასოთ-ამწყობლების წყალობათა და ზოგიც კორექტორების. — > მწყემსიც თავის თავათაც ვარდება ხოლმე ცოდეაში, როცა რუსულის წამხედურობით ქართულ-შიაც შემოაქვს სქესი და მდედრობით სქესს ხმარობს: „მეფა“ „ხელმწიფა“ „ებრაელების კნინა“ წმ. ნინა (ნი. ნოს მაგიერ) და სხვანი.. იმედია შემდეგში ამ წვრილ-მან ნაკლს შეავსებენ, და არ მოაკლებენ ჩვენ ხალხს მომავალშიაც არჩეულ წიგნაკებს!.. სიტყვაშ მოიტანა და არ შეიძლება არა ვსთქვათ: ამ დღეებში ქართულ ენა-ზე გადმოითარგმა ჯიაკომეტის დრამა „ივლითი“. ეს ას-რუსება ისეთი რამ არის, რომ სახარებასა და ჯვარი-ვით საჭიროა ყოველ ქართველ ოჯახისათვის. ბატ. მაჭა- გარიანის ნათარგმნია და ის ხომ ერთი უკეთესი მთარ- გმნელოაგანია ჩვენში. თუმცა მცირე რამ იმასაც უნდა შევნიშნოთ. მაგალითად: სხვების მიბაძვით ამბობს სიტ- ყვას: „ბედ-ილბალი“ და ეს ხომ ენის გარყვნა?!. „ბე- დი“ ქართულია, „ილბალი“ თათრული რასაჭიროა ორი- ვეს ერთად ხმარება, რომ ორ ეტაჟიანი სიტყვა გამოვიდეს და ქართულზე თათრულიც დასკუპდეს? სარწმუნოება და მოქალაქება ვიზანტიიდან შემოვიდეთ, ადრე ვახ- ტანგ-გორგასლან ამდი ბერძნულათ გვქონდა წირვა-ლო- ცვა და მეხუთე საუკუნეში, როცა ქართულად ითარგ- მნა.. ჩვენმა სამღვდელოებამ, მხოლოდ მოსაგონებლად, თრი სიტყვა დატოვა „აქსიოს“ (ლირსაარს) და „კირა- ლეისონ“ (უფალო შეგვიწყალენ). ეს კიდევ მესმის... მაგრამ ეს თათრული სიტყვა „ილბალი“ რაღაც გვინდა და რაღაც უნდა მოგვაგონოს თუ არ ის, რომ თათრე-

ბისაგან საუკუნოების განმავლობაში სულითაც და ხოჯ
რცითაც დატანჯული ვიყავით?!.. აგრევე გვიკვირს,
რომ ისეთი მცოდნე ქართულისა, როგორც არის მაჭავა-
რიანი, რათ ხმარობს „ალვიარების“ ნაცვლათ „ვალია-
რებს“? აბა თუ გაუგონია საღმე, რომ ზიარების მიღე-
ბის დროს რომელიმე ქრისტიანს ეთქვას: „მწამს უფალო
და ვალიარებო“ „ალვიარების“ ნაცვლად? ვინ იტყვის:
„ვალიარებ“ ერთსა ნათლის ლებასაო? და არა „ალვიარებო“?
მწერლობის მოვალეობაა, რომ დამახინჯებულ სიტ-
ყვებს ასწორებდეს, არა თუ ამახინჯებდეს!. მართალია
ყველა ეს წვრილმანია, მაგრამ, ვაი რომ, საზოგადოთ;
წვრილმანებს თან სხვილმანებიც მოჰყვებიან ხოლმე...
სხვებს რომ ეპატიოს, ბატ. ი. მაჭავარიანს მაინც არ
ეპატივება ამგვარები...

2

დიდი კამათობა გამოიწვია იმან, თუ როგორ უნ-
და ითარგმნოს რუსული სიტყვა „ვოდოპად“? ზოგმა
„წყალვარდნილი“ იხმარა, ზოგმა „ჩანჩქერი“ ზოგმა რა
და ზოგმა კიდევ რა? ვერ შეთანხმდენ და ერთ გადაჭ-
რილს ვერ დაადგენ.. არ იკიან რა დაუძახონ, მაშინ
როდესაც სიტყვა „ვოდოპადი“. ქართულად სხვა და
სხვა წოდებით იხმარება, მათ-მათი განსაკუთრებითი ხასი-
ათის შესაფერად: „ჩქერი“ ანუ გადამახინჯებული იგივე
„შაქერი“ ჰქვია მდინარის იმ ადგილს, სადაც ქვები
ყრია და გაქანებული წყალი, ქაფად გამსქდარი, თავზე
ევლება ლოდებს.. რუსები იმას „პაროგს“ ეძახიან. — სი-
ტყვა „ჩაქერი“ „ჩქარისაგან“ უნდა იყოს წამომდგარი. —
როდესაც მაღლიდან კლდეზე გაღმოჩუხებდეს წყალი და

კლდის კედლებს კი არა შორდება, იმას ეძახიან „ჩანჩ-ქერს“ ანუ „ჩენჩქერს. როდესაც მაღლიდან შორსა სცემს ცოტად და კლდის კედლებს არ ეკარება, იმას „საჩქეფი“ ჰქვია. აგრევე როცა მაღლიდან უფსკრულისკენ ექანება, ჯურლეულში ჩადის და კაცი ზეიდან დაჰყურებს, აუ პატარა წყალია „ჩახრიალა“ ჰქვიან და თუ დიდი წყალი „ჩაქუხა“. ეს ხალხმა კარგათ იცის და არ ვიცით მხოლოდ ჩვენ, რადგან კაბინეტში ვზივართ და ხალხს არ ვიცნობთ!.. აი ახლაც, სოფლელებს ზღაპრებს ვათ-ქმევინებ ხოლმე და, უნდა ნახოთ, რამდენს სიტყვებს მისთანას ხმარობენ, რომელიც მე ან დავიწყებული მაქვს და ან არ მცოდნია, მაგრამ ნამდვილი ქართული სიტყვები კი არის. როცა უცხო ენებიდან რასმე ვთარგ-მნით და სიტყვებს ვეღარა ვპოვილობთ, ჩვენ უოველ-თვის მათი ვმართლულობთ თავს, რომ ქართული ენა ღარიბია და იმას კი არა ვფიქრობთ, რომ ჩვენ ოვი-თონ ვართ ცოდნით ღარიბი! ძველ წიგნებს ჩვენ აღარ ვკითხულობთ, ხალხში ჩამდგარი არავართ, მათს სიტყვა-პასუხს უური ვუგდოთ, ვიგონებთ რაც მოგვადება ენა-ზე და მორჩა გათავდა... მეტი გზა აღარ არის, ზეპირ-სიტყვაობას უნდა მივაჭიოთ ყურადღება, მაგრამ ისე კი უნდა ჩავწეროთ ხოლმე; როგორც თვითონ ხალხი ამბობს.

ახალი გენე

დრამა 4 მოქმედებად

დათიკო სირამე — რედაქტორი.

არჩილ გახმძე — ექიმი.

ხოსრო (იგივე ქაიხოსრო) გირგანელი — { თანამშრომეული
[გამომძიებელი]

ნიკო ჩიხელი — სოფლის მასწავლებელი

ქეთო ჩიტამისა — ახალგაზდა ქალი.

მართ რაზმაძისა — შემდეგში ქაიხოსროს ცოლი,

ნენე — მაჭან კალი.

ბადდასარ ბუდაღვევი.

ზაქარა — მსახური.

ଶ୍ରୀ ମହାନ୍ତିର

ମହାପ୍ରେର୍ଜ୍ୟୋତିଷ କଣ୍ଠବ୍ୟୋଲି

ପ୍ରେସ କରିଯାଇଲା

ଲାରିପଦ୍ମଲାଙ୍ଗ ମହାତୁଳି କାର୍ତ୍ତାରୀ ଓତାଶି. ମାର୍ଖବନିତ ଶ୍ରୀ ଧାତିକୁ ଓ ସଞ୍ଜରି; ମାର୍କବନିତ ଧିଗନ୍ଧି, ମୃତାକ୍ଷଣୀ ମିଥିରଫଳନବିଲାଙ୍ଗ କ୍ଷେତ୍ର ଚିଗନିତ କ୍ଷେତ୍ରଶି. ମମିଶ ଚିନ୍ତା ଧିଗାଶ କରିବାର ଓ ରାଜାପାଶ ଅର୍ଥାତ୍ ଧିଗନିତ ଶ୍ରୀ ଶୁଭର୍ଜେବା. ଗାନିଶ କାର୍ଯ୍ୟବି ଲାଗା, ଓତାଶି ଉଚିତୀ ମରାର୍ଜ ମନ୍ଦିରକୁ.

ପାଥମିଶିଲା କରିଯାଇଲା.

ଧାତିକୁ, କରିବାର, କ୍ଷେତ୍ର ଓ ମେର୍ଗ ଏହିଲା.

ଏହିଲାକୁ କମା କରିବାକିମାରି

ଧାତିକୁ! କାହା, ଧାତିକୁ! ଏହି ଗ୍ରେଶିକୁ ପୂର୍ବାହ୍ୱିଲା?

ଫଳିକୁ (ତାଙ୍କ ଆଲ୍ପଦିଶ)

କେବଳ! ଏହି ଗ୍ରେଶକା?

ଏହିଲାକୁ

ଏହି ଫଳିକୁ ଫଳିକୁ?

ଧାତିକୁ

ଶାବଦିକା

କରିବାକିମାରି

କାରାଶିକ୍ଷିତ.

ଫଳିକୁ

ଶାବଦିକା! ଶାବଦିକା!

କହୁଶବ୍ଦ

ଅରା ମେତକ୍ଷି, ତାରାଶ୍କ୍ରେଵିଳା.

ଅନ୍ତରିକ୍ଷର (କାର୍ଯ୍ୟବ୍ୟୋଧ ମନ୍ଦିରରେ)

ରନ୍ଧରିଲେ ଯରିଲେ ଜୁନ୍ଦା ଲାଗିଜ୍ଞେରିବା?

ଫଳତାଙ୍ଗ

ତରୁ ଲାଗିଜ୍ଞେର୍ଯ୍ୟ, ଶାବାତିବା.

କହୁଶବ୍ଦ

ଅବା, ଶାକ୍ରେଦଲିଲ ପ୍ରାଣେନଦାରୀ ଶେଖେଲ୍ପା!

ଫଳତାଙ୍ଗ

ଏହି କଥି ଗୁମ୍ଫିନିଲ୍ଲେବା.

କହୁଶବ୍ଦ

ଅରା ମେତକ୍ଷି, ତାରାଶ୍କ୍ରେଵିଳା! ଫଳ୍ପା ଦିଲିତ ହେମି କ୍ଷେତ୍ରର
ବ୍ୟାଗଲିଜ୍ଞ ଫୁଲିପ୍ରେଲି.

ଫଳତାଙ୍ଗ

ଗୁମ୍ଫିନିଲ୍ଲେବା ଗଢ଼ିଲେବା?

କହୁଶବ୍ଦ

ମେ କୁକ୍କଟ ଏହି ବିପରୀ?

ଫଳତାଙ୍ଗ

କ୍ଷେତ୍ରରେବା, ଗୁମ୍ଫିନ ବ୍ୟାଗ.

ଅନ୍ତରିକ୍ଷ

ଲାଗେବନାତ ଫଳ୍ପାବିଦି?

କ୍ଷେତ୍ର

ମେ କି ତାରାଶ୍କ୍ରେଵି ମୃଗନ୍ତିବା.

ଅନ୍ତରିକ୍ଷ

„ମୃଗନ୍ତିବାକଥା“ କଥିରାତ ଶେଖିବାପରେବ କଥିମ୍ବେ.

ଫଳତାଙ୍ଗ

ତକ୍ଷେଣ ରନ୍ଧର ତାରାଶ୍କ୍ରେଵି ତ୍ରୈଲିଙ୍ଗା ଦା କ୍ଷେତ୍ର ଶୁଭା ଗାମି-
ଗ୍ରେବାରିବା, ହେମି ରା ବର୍ଣ୍ଣାଲିବା? (ପିନ୍ଦିବା) ଦାଶ୍ଚେଲ୍ପା ଏହି ଏହି
ଶାବାତିବା, ଶୁଭାଲାମ୍ବ ଗାଲାଶୁଲିବା...

არჩილ (წაცინვით)

მაშ თქვენ კატის პარასკევი ხომ არ გაგონ დებოდათ.
ხოსრო

კატის პარასკევი რომელილა?

არჩილ

ძეხვს რომ ვერ შესწოდა და მაინც პარასკევიაო ამ-
ბობდა.

ხოსრო (წყვინით)

მაგისთანა პარასკევები თქვენს უბანში მოიკითხეთ
არჩილ

თქვენსაში კი სულ აღდგომა და შობაა? (ქეთისკენ)
მაშ გაფრთხილდი, ქალო, რომ დიდი პარასკევი არ და-
გიღვეს!... (შებრუნდება. დათიკო წერას მოჰყვება).

ხოსრო (ქეთოს)

ე რა გესლიანი ვინმეა.

ქეთო

რაო? მე ვერა გავიგე-რა?

ხოსრო

არცა ღირს!.. (შეპხდას და რომ დაინახავს დათიკოს
თავ-ჩაღუნულს, მიუჯდება ქეთოს გვერდში). რას ჰქითხულობ
შეგას?

ქეთო

აი რასა!.. (წიგნს მიიღუასებენ)

ხოსრო

საუცხოვო ადგილია! (ჰკოცნის)

ქეთო (თვალით ანიშნებს დათიკოზე)

მაგდენიც არაფერი. (დათიკო თვალს შეასწრობს და თაქს
ჩაღუნავს). მოცლილი თუ წაიკითხავს თორემ, ახალი აქ
არა არის-რა!...

ხოსრო

ახალი არა არის რა, მაგრამ ისეთი რამე კია, რომ
კაცი თავის დღეში არ მოსწყინდება!... განა?

დათიქო (ახველებს)

ჰე, გავათავე. ამაზე უფრო მეტი დამახინჯებაც
აღარ მოხერხდება. — გამიგონია, ძველათ ერთმა ახალგა-
ზდა შეყვარებულმა თავის სატრფოს ცალი თვალი წა-
თხარა, რომ ეგება, მტერმა აღარ წამართვას და ცალ-
თვალი მაინც დამრჩესო... სწორეთ ისე გვემართება
ჩვენც...

ქეთო

აბა დრო ის ყოფილა და სიყვარულიც მაშინ ცო-
დნიათ.

დათიქო

დროსი რა მოგახსენო და სიყვარული კი სწორეთ
ცოდნიათ.

ხოსრო (ულვაშების გრეხით)

კაცებს!..

ქეთო

ქალებს კი არა?

ხოსრო

მაგალითი არ გადმოუციათ.

დათიქო

როგორ თუ არა?! მაშ გულთამზის აშბავი არ გა-
გიგონია?

ხოსრო

მომიკრავს ყური ცალი-ყბით, მაგრამ გულში ჩასა-
რჩენი კი არა ყოფილა-რა.

ქეთო

მე კი პირველათ მესმის. ვინა ყოფილა?

დათიკო

ჯაფარიძის ქალი. ღიღი და პატარა ყველა თურმე
იმას ეტრუოდა და არჩევანიც მის ხელში ყოფილა.

ხოსრო

ჰაი გიღი ქალი!

დათიკო

მოტრფიალთა რიცხვში ერთი ახალგაზდა გოცი-
რიძეც რეულა, გარდა სილამაზისა, ყოვლად სრული, გა-
მოჩენილი და სახელოვანი.

ხოსრო

მაგრამ მაინც კაი მასალა კი ჰკლებია.

დათიკო

გულთამზეს გონება თურმე მისკენ უჭრიდა, მაგ-
რამ გრძნობა კი სულ სხვას ეუბნებოდა.

ხოსრო

აბა, რა! ქალი არ იყო თუ?

ქეთო

დაგვაცა ერთი და...

დათიკო

გული თავს ეურჩებოდა, მაგრამ ქალი მაინც კი-
დევ დროს უცდიდა და ცდილობდა, რომ როგორმე
თვალი შეეჩია!

ხოსრო

აი სწორეთ ქალური ახირებულობა!

ქეთო

მერე, მერე?

დათიკო

ასპინძის ომში, საღაც დიდ-ძალი იმერლობა დაეს-
ჭრო, გოცირიძემ ჩვეულებრივად სახელი ნახა, მაგრამ
ძვირად კი დაუჯდა ვაჟა-ცობა: მძიმეთ დაჭრეს და ხევა-

თა შორის სახეზედაც რამდენიმე ჭრილობა დაღად და-
აჩდა.

ხასრო (სიცილით)

„არ ვარგოდა ძმარიო და მიემატა წყალიო“
დათივე

როცა მორჩენილი დაბრუნდა იმერეთში, გულთა-
მზემ ნახა და იციო რა მოუვიდა?

ხასრო

ჯერ სიცილი აუტყდა სახეზე რომ შეხედა და
მერე კი შეებრალა. ქეთო (აჯელვებით)

ნახა და შეუყვარდა!

დათივე

სწორეთ. შეუყვარდა და ქმრათაც აირჩია.

ხასრო

შეუყვარდა? ეგ შეუძლებელია!

ქეთო

სრულიადაც არა.

ხასრო

მაშ მეტიჩრობით მოსელია.

ქეთო

ჰეშმარიტის გრძნობით.

ხასრო

უფრო ფარისევლობითა.

ქეთო

წრფელის გულით.

ხასრო

ეგ ბუნების წინააღმდეგია! უშვერებას გული ვარს
ვერ გაუდეშს.

ქეთო

მაშ თქვენი თვალ-წამოთხრილი სიყვარული რაღა
მაგალითი იყო?

ხოსრო

ის სულ სხვა არის! რაღაი-კი ერთხელვე გულში
დაისადგურებს სიყვარული, მერე გრძნობა ყოლიფერს
აიტანს... მანამდი კი...

დათავა (ვაიძების)

არჩილ! არ გესმის?

არჩილ (გამოიძახის)

ყურა ვუგდებ და მეცანება. (გამოდის) რაო, რაო?
მანინჯი გრძნობაო... თვალ-წამოთხრილი სიყვარული,
კიდევ რაღა?

ხოსრო

ვერ გაიგონე?

არჩილ

როგორ არა! (დაცინვათ) კაცი ისე თურმე ჰყვარე-
ბია, რომ ქალისათვის თვალი წამოუთხრია... საუცხო-
ვოა!

დათავა

განა ცუდი დამტკიცებაა?

არჩილ

ვინ ანბობს? მაგრამ თავისი თვალი ტოშ წამოეთ-
ხარა, მაშინ-კი უფრო სარწმუნო იქნებოდა.

ხოსრო (თვალების ქაჩვათ და ულვა- შების გრეხით)

მაგ მაგალითში სიყვარულის თავ-განწირულება იხა-
ტება... ამფერ კაცო!..

არჩილ

სხვისი თავის განწირვა ძნელი არ უნდა იყოს!

ქეთო (ადტაციით)

მე მესმის ეგ გმირობა!..

არჩილ

მართლა?!

მაშ ამას ოოგორლა გაიგებთ: ბატონს
მოეწონა ყმის ბედაური. ყმას შეეშინდა, არ წამართვასო
და ძუა-ფაფარი დააკვეცა, ეგებ ბატონშა აღარ წაიყვანოს
და მე საბარგოთ მაინც გამომადგებაო?!

დათვე (თავისთვის)

რა ახირებული მაგალითები იცის!

ქეთო (ზიზლით)

ფუ!

სიყვარული და გაკრეჭილი ცხენი!

რა მოხდენილი და მიმსგავსებული შედარებაა?!

არჩილ

რატომ, იქაც პირადი სარგებლობის ანგარიშია და
აქაც.

ხოსრო

მაშ გულთამზის მაგალითი ხომ სულ...

არჩილ (სიღყვას ჩამოართმევ'')

არა, ეგ კი სწორედ შესაძლებელია.

ხოსრო

შესაძლებელია?!

არჩილ

რასაკვირველია... გაკერპულ ადამიანს ბევრი რამ
წარმოუდგება, ბევრი რამ მოეჩვენება და მაშინ ადვილად
დაჯერებს გრძნობა გონებასაც.

ხოსრო

ჩეტავ გულთამზეს რა პქონდა გასაკერპებელი?

უნ
გააკერპა?

არჩილ

უთუოდ საზოგადო მოვლინებამ!... მაშ ვინ გააკე-
რპა ჩვენი დედები, ის ოჯახის შეილები, ქვეყნის მტრებს
რომ ცოლებათ მიჰყვებოდენ და რჯულზედაც კი ხელს
იღებდენ, მხოლოდ იმ განძრახვით, რომ ჩვენი სამ-
შობლოს მტრობა სამოყვროთ შევაცვლევინოთო!

ჩასრო

ეგ სხვა არის. მანდ განძრახვა მოსხანს. და არა
გრძნობის გატაცება...

არჩილ

თანახმა ვარ! მაგრამ იმ დროში რომ ქალს რომე-
ლიმე გმირის ჭრილობა მშვენიერების ბეჭდათ და გვი-
რგვინად ჩვენებოდა, განა შეუძლებელი რამ იქნებო-
და?

ქეთო

არა თუ იმ დროში ეგ დღესაც შესაძლებელია!

არჩილ

მაგისი კი რა მოგახსენოთ!

ქეთო

ვითომ რატომაო?

არჩილ

იმიტომ, რომ დღეს გულთამზეები აღარსად გახ-
ლავან და მხოლოდ თვალის ჩინები ბრძანდებიან..

ქეთო (წყვინით)

როგორიც გოცირიძეები თქვენა ბრძანდებით; მის-
თანა გულთამზეებიც ჩვენ გახლავართ! ჯერ გოცირი-
ძეები უნდა გამობძანდენ ცხოვრების სარბიელზე და
შაშინ გულთამზეებიც გამოჩნდებიან.

არჩილ

რა იცით; რომ გამოჩენილიც არ არიან?

ქეთო

ვინ? გოცირიძეები? როგორ არა... უთვალავი გყავსთ
არჩიდ

თვითო-ოროლა ხომ ურევია.

ქეთო

თქვენს ახალგაზღობაში?

არჩიდ

დიახ.

ქეთო

ხა! ხა! ხა! ხა! მაშ რაღათ იმალებიან! და სად
არიან?

გამოსვლა მეორე.

ისინივე და ნიკო შემოდის დარიბულად ჩატულა.

ნიკო (ქეთოსა და ხოსროს რომ ერთად
დაინახავს შექროება. დათუკის)

სტამბა მომცდარია და მასალა კი აღარსაჲ არის.

დათუკო

აი, გეთაყვა, წაიღე და ააწყობინე, სხვები ხომ სულ
ააწყვეს? გაასწორე?

ნიკო

მოვრჩი! (ხოსროს) თქვენი საკვირაო ფელეტონი კი
დააკავეს.

ხოსრო

მარჯლა? ახირებულია თუ აზრიანს აღარას დაგვა-
წერინებენ!

ქეთო

რაზე იყო?

ხოსრო

კაცის ხასიათზე და მის მოვალეობაზე.

არჩილ

უქ, მაღალი ფარდისა ყოფილა!..

ქეთო

სულ დაიჭირეს, თუ გამორიცხეს რამ?
ნიკო

მაგდენი გამოსარიცხავიც არა ყოფილა რა: (მიღის)
არჩილ (ქეთოს)

მაგ. ყმაწვილს იცნობთ?

ქეთო

ვისა? ნიკოს? ყოველ დღე არა ვხედავ?

არჩილ

არა, დაახლოებით? ეგ გახლავს გოცირიძე.

ქეთო

გვარათ თუ მოქმედებით?

არჩილ

საჭირო.

ქეთო

ხუმრობთ.

არჩილ

არა, გარწმუნებ; რომ ერთი მათგანია.

ხოსრო,

ფხხხხუ!.. (იცინი)

არჩილ

რას იცინი?

ხოსრო

შევრი არა ნდომებიარა თქვენს გოცირიძობას:
საკმაო ყოფილა მიყრუებულ სოფელში საღმე ბავშვებს
ანა-ბანა გაუკვეთოს და მოცლის დროსაც სტამბაში იჩირ-
კედელაოს.

არჩილ

მაშ როგორა გვინია! ეგეც არ იცი?

დათიკო

ჩანს ვერ გიცნიათ ეგ ყმაწვილი! არც სწავლით,
არც ნიჭით და არც შრომის მოყვარეობით, არავის ჩა-
მოუვარდება.

არჩილ

და პატიოსნება კიდევ მეტია!

ქეთო

მაშ რათ დაუჩაგრავს მანგრე ბედს?

არჩილ

დრო და ჟამსა ჰკითხეთ!...

ხოსრო

სწორე მოგახსენოთ ვერაფერი წარმომადგენელია
ძეელი გმირების!..

ქეთო (იცინის)

მეც მანგრე მგონია!

არჩილ

ღროს საკადრისად და გარემოების შესაფერად, ღია-
ხაც გმირია.

ხოსრო

მაშ ვერ ყოფილა სახარბიელო ჩვენი დრო?

ქეთო

მეტად ამცირებთ.

არჩილ (ქეთოს)

სულაც არა!... ძველად გარეშე მტრებს ვიგერებ-
დით და დღეს შინაგანს ვებრძვით.—მაშინ სისხლის თხე-
ვა იყო საჭირო,—დღეს ოფლის დფრაა და ფარ-ხმალიც
განსხვავებულია.

ხოსრო

ნიკოს ფარ-ხმალი?

არჩილ

პირადობაზე ხელის აღება. და საზოგადოსათვის
თავის განწირვა.

ხოსრო

სიტყვაა!!! ვინც თავს ვერას არვებს, ის სხვას რას
გამოაღვება?

არჩილ

ხალხის კეშმარიტებაც ეგ არის... მანგრე აშბობდენ
მოცუქულებზე და პირველი საუკუნის ქრისტიანებზე
კერპები.

ხოსრო

ხალხსაც თავისი შეხედულობა აქვს.

არზილ

მაშ ჩვენმა ყმაწვილ-კაცობამ ჯერ უნდა თავის თა-
ვზე იფიქროს: დაიწყოს აღვოკატობა და ხალხს ტყავი
გააძროს, რომ იმისვე სათაყვანო გახდეს; ან და მისყოს
ხელი ექიმობას, მხოლოდ იმ განზრახვით, რომ ფულები
ჰქონითოს და სასაფლაოები ასუქოს, და ან კიდევ ხელ-
ჯოხიანობა იკისროს და ქვეყნის გაწირვით იდლესასწაუ-
ლოს! მაშინ ხომ მათზე ძვირს ვეღარავინ იტყვის?! და
ჩვენი ქალებიც წყალობის თვალით შექედვენ... განა?...
ხა! ხა! ხა! ხა!...

ქეთო

ეგეც უკიდურესობაა და ისიც, უკიდურესობა ხომ
ყველას არ მოეთხოვება... განსაკუთრებით ქალებს.

არჩილ

მაშ გულთამზის ამბავმა წედან ისე რათ აგიტაცო?
თქვენ არა ბრძანეთ: გულთამზეობა ახლაც შეიძლე-
ბაო?.. დალოცვილო, თუ კი უწინდელ ქალებს სახის
დამასახირებელი ქრილობა მშვენიერების გვირგვინად

და ბეჭდათ ეჩვენებოდათ, თქვენ რაღა გემართებათ უკე-
თეს ყმაწვილ-კაცებს თვალს არიდებთ, მხოლოდ მიტომ,
რამ ლარიბები არიან და კოხტურათ ვერ იმოსებიან!...
მაგრამ ეჭ!.. ღირს კი ამაზე ლაპარაკი?.. რისი გულთა-
მზე და ვისი გულთამთვარე. სად არიან?...

ქეთო (შოსროს)

ხომ არა შეუტყვიარა?

ხოსრო

ჟრაფერი... მაშუალივით კი ესარჩლება იმ ყმაწვილსა-
და!..

ქეთო

იჭ, გამოესარჩლოს თორემ გული არ შემიცვალოს.
ხოსრო (ალექსით)

ვინ იცის?

ქეთო (ალექსით)

გრტევენოდეს! (საათს ამოილებს) უჰ! პირველი საათია...
გამაცილებები?..

ხოსრო

ლამე მშეიღობისა, ყმაწვილებო! სხვა ფელტონი ხომ
არ დავწერო?

დათივით

არა, მზათა გვაქვს მეორე.

ხოსრო

არჩილის?

დათივით

არა, ნიკოსი.

ხოსრო

ნეტავ რაზედა სწერს?

დათივით

სიყვარულზე.

ქეთო

სიყვარულზე? (არჩილს) თქვენი გოცირიძე სწერს?

არჩილ

დიახ ჩემი გოცირიძე სწერს; რომ თქვენმა გოცირიძემ წაიკითხოს.

ხოსნო (ხელს აშერს არჩილს)

თუ ბატონი დოქტორის მოწაფეც არის, კარგათ კი ეცოდინება სიყვარული და რიგიანადაც ახსნის:

არჩილ

სიყვარულს მხოლოდ გრძნობა უნდა და თუ ცოდნა იყოს საჭირო, მაშინ ნიკო შენ მოგებარებოდა მოწაფედ და არა მე... სიტყვების რახა-რუხი ეცოდინებოდა.

ხოსრო

უსიტყო გრძნობა, ხომ პირუტყვებსაც აქვსთ.

არჩილ

მაგიერში უგრძნობელ სიტყვებსაც ვერ მოახერხებენ და ამით ზოგიერთ მეტყველზედ უპირატესობა აქვსთ.

დათვაკო

კარგია, ახლა აღარ გაათავებთ? სადაც არის გათენება მოატანს.

ქეთო (ღიღილო)

გვითხოვ?

დათვაკო

თუ მანგრე შეჰყევით, პარასკევი კი არა, კვირაც გამოგეპარებათ.

ქეთო

მშეიღობით! მშეიღობით! მართლა, რომ დროა. (მიუბრუნდება არჩილს და თავს დაუკრავს მძიმეთ) მშეიღობით ბძანდებოდეთ... თქვენს გოცირიძეს მოკითხვა გადაეცით!

(მიღიან)

არჩილ

თქვენი გოცირიძე მანდერ გახლავსთ.
(ჰელს აშვერს ხოსროს).

ხოსრო (უქერდება)

მე რაღას გადმომწვდი? არ შეიძლება გვიპასუხოთ?

არჩილ

დიდის სიამოვნებით... მაგრამ ახლა დრო აღარ
არის! ჯერ ეგ თქვენი გულთამზე გააცილეთ...

ქეთო

წავიდეთ..., წა... ხომ ხედავ რა გუნებაზეა?

ხოსრო (ვაჟყვება)

ილრინება ჩვეულებრივად. (კარებთან რომ მიაწევენ და-
ბრუნდება) დათიკო! თუ ღმერთი გწამს, ძილს ნუ გაატე-
სინებ არჩილს, თვარა ხვალ ცუდ გუნებაზე დადგება და
მტერსა და მოყვარეს გაურჩევლად მოშამავს... ჯერ
ახლაც მოლესილია. (მიღიან).

გამოსვლა მესამე

დათიკო და არჩილ!

დათიკო

რა არის, რომ მაგ კაცთან გულ-გრილათ ლაპარაკს
ვერ ახერხებ?

არჩილ

მეჯავრება.

დათიკო

არც მანგრე ამოჩემება ვარგა! ჩვენი აზრის კაცია,
ჩვენი რაზმისა და ჩვენი მომხრე.

არჩილ

მხოლოდ დრომდე... ჩვენი რაზმი მაგისთვის კიბეა
და ხიდი სხვაგან გადასაყვანი... ცოტა გვინახავს მაგი-
სთანები?.. სანამდინ თავს იჩენდენ და ზურგს გაიმაგრე-
ბდენ, ჩვენ გვეკედლებიან... ჩვენთან არიან... ვითომ
ერთგულიად და გაბედვით ვაკეთებთ საქმესაო... თვითო-
ოროლა რამესაც დასწერენ და მერე კი...

დათივე

შორს და მშვიდობითა?

არჩილ

მაგასაც კი აღარ გვაჯერებენ: შორს და კისრის ტე-
ხითო! პირველ მტრებთაგანი გვიხდებიან ხოლმე.

დათივე

ხოსროს მაგ გვარი არა ეტყობა რა.

არჩილ

ი ვნახოთ თუ არა!.. გახსოვდეს ჩემი სიტყვა, თუ
მაგან ის ქალი არ გააუბედუროს.

დათივე

მერე ჩვენ რაო?

არჩილ

ის რო ჩვენი სირცხვილი იქნება: ჩვენ წრეში შე-
მოსულა, წრფელის განძრახვითა და სასოებით მოგვენ-
დო და ერთმა ჩვენგანმა, ანუ ცრუ ჩვენთაგანმა, უნდა
საუკუნოთ გააუბედუროს?

დათივე

ჩვენ ხომ აპეკუნები არა ვართ?! ყმაწვილი აღარც
ეგ არის...

არჩილ

ქალი სიყვარულში სიკვდილამდე მცირე წლოვა-
ნია.

დათვე

ვითომ რატომა?

არჩიდე

იმიტომ, რომ კაცზედ უფრო წრფელი და ბუნება
თანაზიარია... ადვილიათ მოსტყუვდება... ეს საზოგადო
კანონია... და ქეთოს ხომ უფროც ეჭირვება გაფრთხი-
ლება.

დათვე

ქეთო რაღა არის?

არჩიდე

ქეთო ჯერ კიდევ ყმაწვილია, ნიჭიერია... მაგისა-
გან შეიძლება კარგი რამ გამოვიდეს... მაგრამ ატაცე-
ბული ბუნებისაა, ისე როგორც ყოველი ნიჭიერი და
ვაი თუ...

დათვე

მაშ გვიანდა არის მაგის მოხმარება..

არჩიდე

როგორ? განა შეუტოპავს?

დათვე

რასაკვირველია! უყვარს...

არჩიდე

ჰე, ეგ კი არ მიაშე...

დათვე

არც შე, მიაშა, მაგრამ რა გაეწყობა. (სულებს შლის)

ମୁଖ୍ୟର୍ଜୀଙ୍କ ଶ୍ରେଣୀ

୨୩୭୬ ଅଳ୍ପବ୍ୟାପ୍ତି

କ୍ଷେତ୍ରରେ ଓତାଥି. ମାର୍ଗ ନିଃ ସାହାରକ୍ଷେତ୍ରରେ ଏବଂ ଫିଲ୍‌ଡିପ୍‌ଲେନ୍‌କ୍ଷିପ୍‌ଟିକ୍‌ରେ ପରିଦେଖାଯାଇଥାଏନ୍ତି. କ୍ଷେତ୍ରରେ ପରିଦେଖାଯାଇଥାଏନ୍ତି.

ଧାରାବିଦ୍ୟା ପରିବାରରେ

କ୍ଷେତ୍ରରେ

ଅଳ୍ପବ୍ୟାପ୍ତି କି ମହିଳାଙ୍କ ପାର.

ମାର୍ଗ (ମୋହମ୍ମଦରୁହିନ୍ଦେବା)

ମିଳିବାର?

କ୍ଷେତ୍ରରେ

ଫିଲ୍‌ଡିପ୍‌ଲେନ୍‌କ୍ଷିପ୍‌ଟିକ୍‌ରେ, କ୍ଷେତ୍ରରେ ଏବଂ ସାହାରକ୍ଷେତ୍ରରେ ପରିଦେଖାଯାଇଥାଏନ୍ତି. କ୍ଷେତ୍ରରେ ପରିଦେଖାଯାଇଥାଏନ୍ତି.

ମାର୍ଗ

ମାତ୍ର ମେପ ଚାହାନ୍ତି.

କ୍ଷେତ୍ରରେ

ଶ୍ରେଣୀ ରାଜାଙ୍କ?

ମାର୍ଗ

ରାଜ୍ୟରେ ମାତ୍ରିକିନ୍‌କ୍ଷେତ୍ରରେ ବାବିଲିନ୍‌କ୍ଷେତ୍ରରେ ପରିଦେଖାଯାଇଥାଏନ୍ତି. କ୍ଷେତ୍ରରେ ପରିଦେଖାଯାଇଥାଏନ୍ତି.

କ୍ଷେତ୍ରରେ

ଲୋକରେ କାନ୍ଦିବାରେ ପରିଦେଖାଯାଇଥାଏନ୍ତି. କ୍ଷେତ୍ରରେ ପରିଦେଖାଯାଇଥାଏନ୍ତି. କ୍ଷେତ୍ରରେ ପରିଦେଖାଯାଇଥାଏନ୍ତି. କ୍ଷେତ୍ରରେ ପରିଦେଖାଯାଇଥାଏନ୍ତି.

ბა, ჩვენმა ყმაშვილებმა აქ მოიყარონ თავი და უშენობა განა მოხერხდება?.. მით უფრო, რომ არ ვიცი რამდენწანს დამაგვიანდება ძმასთან. შენ იმასპინძლე ჩემ მაგირ (ზელს მოჰკიდებს და დაჯდეს) დაბძანდი! დამძანდი აი ასე!.. მშვიდობით. (მიღის მერე ისევ მობრუნდება) იცი, ქალო, დღეს ერთს ვისმეს გაიცნობ.

მართ

ვისა?

როცხ ცვილი

ქეთო

ნიკო ჩიხელს.

მართ

ვინ ჩიხელია?

ქეთო

სიყვარულის ავტორი.

მართ

მართლა... უნახოთ! ძალიან ატაცებული ვინმე კი უნდა იყოს.

ქეთო

სულაც არა ეგ ერთი დუშაში მოუვიდა, და, ისიც ჩემის მიზეზით.

მართ

როგორ თუ შენით!

ქეთო

შეყვარებულია.

მართ

შენ უყვარხარ?

ქეთო

ჩემდა საუბედუროდ.

მართ

გამოგიტყდა კიდეც?..

ქეთო

რაღა გამოტეხა უნდოდა! განა: ისე კი ვერ შევატყობდი?. მოცლის დროს, იმასა სცდილობს, რომ სულ ჩემს მახლობლად იყოს... დაჯდება ჩემ გვერდით მუნჯივითა, ვითომ და აქ არაფერი ამბავია, ხმას არ იღებს, მაგრამ მისი გულის ძეგრა კი იქიდან აქამდე გესმის. ნერწყვს ნერწყვზედა ჰყლაპავსა.., ალბათ პირი უშრება ხოლმე. თანაც სცდილობს, რომ ქურდულად მიჭირიტოს და როცა თვალს შევასწრებ ხოლმე, თავსა ღუნავს.

მართ

ერთი სიტყვით ეგ ცველა ნიშანია ახალგაზდა შეცვარებულის. მომილოცავს!.

ქეთო

იჭ, ნეტავი შენა! რაში მეკნაჭება მისი სიყვარული.

მართ

შენ რაღას ეუბნები?

ქეთო

მე რა უნდა ვუთხრა?!.. არც კი შევიჩნევ ხოლმე. ფლავი წინ მეღგას და ლობიოს გამოუდგე?

მართ

მერე და არ გეცოდება?

ქეთო

თუ მანგრე გეცოდება შენთვის დამითმია! (ჰკოცნის) მშვიდობით! მშვიდობით! დამაგვიანდა! (გარბის).

გამოსვლა მეორე.

შარტო. მართ (გააყოლებს თვალებს)

მართ

რა ატაცებულია?!... მართებს კიდეც: სიყვარულმა გული აუფქრიალა და მიმოფრენს... როგორც სიზმარში!

(წამოდგება და დაჯის) შემცდარია დათიკო, რომ ქალებს უპირატესობას აძლევს კაცებზე ცხოვრებაში!.. მართალია ჩვენ უფრო გულ-კეთილები ვართ... უფრო თავ-განწირულები და ყოველ შემთხვევაში სამსხვერპლოდაც მზა, მაგრამ სიყვარულში კი... იმ ერთ საგანში უკი-დურესობაა ჩვენი კანონი: ჩვენთვის აღარც მშობელი, აღათც ნაშობი და აღარც მეგობარი!,.. მზათა ვართ შევსწიროთ წამიერ გულის-თქმას ცის და ქვეყნის კე-თილ-დღეობა. (დადრს. მივა და დაეყრდნობა კუმოდს. პირი პუ-ბლიკისკან აქვს) ჰმ... აი ჩემი სიყრმიდგანვე თან შეზრდილი მეგობარი და დაზედ უტკბესი ქეთო! იცოდა ვინც მიყვარდა... გუშინ არ იყო, რომ მანუგეშებდა და იმედს მიქადდა? დღეს ამოუგლეჯია, მოღალატობით მისი გუ-ლიდგან ჩემი სიყვარული, თვითონ უხელთებია მისი თავი და მესაიდუმლოეთაც მე მხდის. აღარ ესმის, რომ მისი ყოველი სიტყვა ეყალია და ისრათ მესობა გულში. ავიწყდება, რომ ჩეც ქალი ვარ და სიყვარულის გამო შურის ძიება, ქალის უკიდურესი მახვილია.. არა!.. ად-ვილად ვერავის დავუთმობ ჩემს ბედნიერებას! (თავს ჩა-კიდებს და თვალებზე ხელა მიიფარებს).

გამოსვლა მესამა

ისინვე და ნიკო შემოდის და შუაზე შეჩერდება.

მართ

ოჲ, რა ძვირფასი ნიჭიდ სილამაზე!!.. კაცების მომ-ხიბლავი და მათი თვალების ამხვევი!.. რატომ მეც არა ვარ ლამაზი?.. რათ მინდა ჩემი სიმღიდრე? იმის სილა-მაზე არ მერჩია! ახლა ვინც უნდა შემიყვაროს ფულის თაყვანის მცემელთ მეგონება და იჭვი გულში კბენს დამიწყებს. (ნიკო ახველებს, მართ მობრუნდება).

ნიკო

ქეთოსთანა ვარ.

მართ

შინ არ არის.

ნიკო

მაშ უკაცრავათ (მიღის)

მართ

სად მიბრძანდებით?

ნიკო

აქ რაღა გავაკეთო?

მართ

ქეთომ გთხოვათ, რომ მოიცალოთ, მალე დაბრუნდება.

ნიკო

ქეთომ? მერე და რა იცოდა, რომ მოვიდოდი.

მართ

საზოგადოდ დაიბარა, ვინც მოვიდეს:

ნიკო

კეთილი. (მიღის კუთხეში, ჯდება)

მართ

აქეთ მობრანდით. მაგ სიშორეს სად მიღიხართ?

ნიკო.

არა მიშაეს-რა.

მართ

თქვენ ნიკო ხომ არა ხართ?

ნიკო

ნიკო სხვაც ბევრია.

მართ (იცინის)

მე თქვენდა თავად გეკითხებით?

ნიგო

დიახ, ნიკო მქვიან.

მართ

ჩიხელი?

ნიკო

ჩიხელი.

მართ

სიყვარულის ავტორიც თქვენა ხართ?.. ჰმ, მაშ, ეხლა
კი გიცნობთ ცოტათ.

ნიკო

მე კი ჩემ დღეშიც არ მინახავხართ.

მართ

ამ ხუთის წლის წინეთ, თქვენ რომ ჯერ ისევ მო-
სწავლე იყავით, დათიკო სირაძემ მოგიყვანათ ჩემ საკო-
დავ ძმასთან.

ნიკო

თქვენი ძმა ვინ გახლდათ?

მართ

ალექსანდრე რაზმაძე... უნდა გცოდნოდესთ.

ნიგო

ალექსანდრე? როგორ არა... იმას ვინ არ იცნობდა,
კარგი რამ იყო! მაშ თქვენ და ბძანდებით?

მართ

სად დავბძანდები?

ნიკო

არა... მისი და თუ ბძანდებით მეთქი?.. ახლა კი
მეც გიცნობთ. (მოდის და ხელს აძლევს) ჰმ... მაშ თქვენ
შარო უნდა იყოთ. (ჯდება).

მართ

სწორეთ.

ნება

ამდენ ხანს ძმაზე გაცვიათ შავი? მარტ
მარტ

ჭრა, ამ საშის თვის წინად მამაც მომიკვდა.

ნება

უმ, აქამდი ცოცხალი იყო?

მარტ (წყენით)

განა მაგრე მოხუცებულათ გეჩვენებით, რომ გაი-
კვირვეთ კიდეცა? (თავისთვის) ე რა ხეპრე ყოფილა!

ნება (შემკრთალი ყოფილს)

არა... ეგ... რა ბრძანებაა? მე იმაზე მოგახსენეთ,
რომ შვილს დაუსწრია...

მარტ

დაუსწრია რა.. დანაძლევებული კი არა ყოფილან.

ნება

არა... ვითომ... მამა რომ... ერთი სიტყვით, მე
მიტომ ვანბობ, რომ საზოგადოთ მამები ახლა დიდ ხანს
ვეღარა სძლებენ... აღრე კყდებიან. (თავისთვის) ტფუ!
შულ არ ავირიყ:

მარტ (წიგნში ჩასხერებია. სიჩუმეა.

ნება ფეხ-აკრეფით იპარება)

სად მიღიხართ?

ნება (ჩაჯდება)

არსად! არ მინდა, რომ კითხვა შეგიშალოთ.

მარტ

არა, მე არას მიშლიათ. (ახველებს).

ნება (თავისთვის)

ერ რა ჭირში ჩაგარდი. (მაროს) მართალია, რომ
ალექსანდრე კომიტეტში გაცივდა?

မာန္တ

အရာ! အနောက်စိမ့်မ ဝမ်းသွေးရမည့်။

ပြော

ဘယ်လို ဂာယျစံနှင့်? စာကျော်သွေးလို့၊ ရုပ်မ ჩွေးနို့ ဖြစ်ပါ၏
လျော်စွဲ မာန္တရှိ ကြည့်ခို့။

မာန္တ

အလုပ်တဲ့ မီမံချိန် စိုက်တဲ့ စိုက်တဲ့ လူ ဒေါ်လာရ အျော်စာနိုင်တဲ့

ပြော

ရာသာကျော်သွေးလို့၊ မှု မွောက်တဲ့၊ ရုပ်မ ပွေးနို့ ဖြစ်ပါ၏ ဒေါ်လာရ
လျော်စွဲ မူကွော်လို့၊ ဂာရုလှ အာရုံးလို့...
မာန္တ

ငါ ရာလာ အရာစဲ? ဤခို့မီ ရုပ်မ အရာစဲ မိမိမဲ့?

ပြော

အရာ... စွဲလဲ စွဲသွား လျော်ခို့လဲ ပုံပြာ၊ ရုပ်မဲ့ စွဲလဲ
အျော်စာနိုင်တဲ့၊ ရာတို့မ အျော်စာနိုင်တဲ့ စွဲလဲ နာဖြူလွှာ-နာဖြူလွှာတဲ့
အဲ ဤပြာ?!

မာန္တ

အမိန်တဲ့၊ ရုပ်မ ဝမ်းဆွဲလဲ စွဲလဲပဲ အရာ အျော်စာနိုင်!

ပြော

မာဂာစဲ မြောက်လဲ ပုံပြာစဲရေး အမိန်ပြုခို့ပဲ့၊ မာဂာရှာမ ဝမ်းဆွဲ
ပဲ့ ရေးတဲ့ နာအောက် အျော်စာနိုင်၊ မိမိမဲ့ စွဲလဲ ပြောပဲ့မဲ့.

မာန္တ

စွဲစဲရေး ပုံပြာဖူးပဲ့ လူမှတ်ပုံပြာဖူးပဲ့ လူ...

ပြော

ပြောပဲ့ ရုပ်မ အုပ်ဖူးပဲ့ မိမိမဲ့?

မာရာ

ရုပ်မ တွေ အုပ်ဖူးပဲ့?

ပြော

မာမဲ့ အရာ လူ စွဲပုံပြာရှုလို့ စွဲပဲ့ ဖူးပဲ့ဖူးပဲ့ပဲ့။ အပဲ့
ဖူးပဲ့ ပဲ့ ဤ ဤမိန် ပဲ့ ပဲ့ပဲ့ပဲ့...
မာရာ

მართ

ვანა მაგისთანაა?

ნიკო

რა ბრძანებაა! სიმღიღრეს დაეძებს... მისთვის სილამაზე არაფერია. აბა გამოჩნდნს ვინმე ქეთოზე უფრო მზითვიანი...

მართ (აჩქარებით)

გინდა ულამაზოუ?

ნიკო

რა თქმა უნდა!.. მაიმუნიც ჯომ იყოს, მზეთ-უნაბავად მოეჩვენება.

მართ

ეყვარება კიდევა?

ნიკო

სანამ ფული არ გამოელევათ რა დაუშლის.

მართ

ვმ... ქეთოს მაგრე არ არწმუნებს! ცალი თვალი რომ წამოითხარო, მაშინც მეყვარებიო.

ნიკო

ცალი თვალი კი არა, აბა ცალი ჯიბე მოიჭრას ქეთომ, თუ მაშინვე განზე არ გაუდგეს.

მართ

ეგ კაი ხუმრობაა!! თუ მაგრე დარწმუნებული ჩარ, რატომ მაგაებს ყველას არ ამხილებ ქეთოს?

ნიკო

დამჯერე ვინ იქნება?! ადამიანს რომ ვინმე შეუყვარდება, კუუ გონებას გირაოთ აძლევს თავის სატრ-ფოს... და როგორლა შეუძლია გაარჩიოს ტყუვილი და მართალი. (სიჩუმეა)

მართ

ეგ კი მართალია.

ნიკო

ქეთოს მეგობარი ბძანდებით მგონია?

მართ

დიდი.

ნიკო

მაშ თქვენ რომ ეტყოდეთ, არ იქნება ურიგო-
მართ

განა ჩემგან კი შეიგონებს?

ნიკო

არა, იმას კი ნუ ეტყვით, რაც ახლა ვთქვით! ურ-
ჩიეთ, რომ ქორწილი დააჩქაროს, თორემ თუ ერთხელ-
ვე ხელიდგან დაუსხლტა, მერე კი მშვიდობით. გაუბე-
დურდება ქალი! ჯერ დღესაც ვერ უყურებენ ქეთოს კა-
რგის თვალით და მაშინ ხომ დედამიწასთან გაასწორე-
ბენ და ცოდვაა...

მართ

მაგას რატომ თვითონ თქვენ არ უჩჩევთ, თქვენიც
ხომ კარგი ნაცნობია?

ნიკო

ჩემგან არ ივარგებს.

მართ

რატომ?

ნიკო

მიტომ.

მართ

მიხეზია რამე?

ნიკო

ცოტა-ოდენი.

მართ

მაინც? საიდუმლოა?

ნეკო

დიდი არაფერია, მაგრამ...

მართ

მაშ არ შეიძლება გავიგოთ?

ნეკო

მე რომ ვუჩჩიო, ვაი თუ იფიქროს, რომ თვითონ
ვუყვარვარ და მიტომ მირჩევსო, უნდა ცუდათ დამანა
ხოს ქაიხოსროს თავიო.

მართ

ეგ ხომ ჩემზედაც შიუძლია იფიქროს, ჩემი საქმრო
უყვარსო.

ნეკო

ეგეც კი შეიძლება.

გამოსვლა მეოთხე

ისინივე და ხოსრო შემოდის.

ხოსრო

გამარჯობა! ააა! ვისა ვხედავ?! მარო! მარო! რო-
გორა ბრძანდებით? როდის ჩამოხვედით?

მართ

გმაღლობთ!.. დლეს მეორე დლეა.

ხოსრო

ამდენ ხანს სოფელში რამ გაგაჩერათ?

მართ

ასე მაიტანა გარემოებამ.

ნეკო

მამა გადაცვლია.

ხოსრო

როგორ? მამა თქვენი?

მართ

დიახ, ეს სამი თვეა რაც მიიცვალა.

ხოსრო

ოჰ, რა მოუვიდა განსვენებულს?

მართ

შვილის მწუხარება ვეღარ აიტანა!.. მოგეხსენებათ,
ძნელია ერთად ერთი შვილის დაყარგვა.

ხოსრო

როგორ? მეტი ვაჟი აღარ დარჩენია?

მართ

აღარც ვაჟი, და აღარც ქალი... ჩემს მეტი.

ხოსრო

ჰმ... (დაფიქრდება) როგორც გამიგონია, კარგი მა-
მულები ჰქონდა მღმათქვენს..

მართ

სხვებზედ მეტი თუ ჰქონდა, თორებ ნაკლები არა.

ხოსრო

თუ პრიკაზის ვალიც აპატივეს..

მართ

პრიკაზში არა გვქონია რა!

ხოსრო

მართლა? ეე იშვიათია ჩვენში! (თავისთვის) რა ნაი-
რად უხდება შავები!.. (მაროს) კერძო ვალი უფრო
უარესიც არის, დიდი თაოსნობა ეჭირვება.

მართ

მამა ჩემს ვალი კი არა, ფულებიც დარჩა, ბარე
ოთხი ათას თუმნამდე.

სოსრო (თავისოფის)

რა მოხდენია სოფლის ჰაერი!.. (მაროს) გყავსთ ვინმე
მისთანა, რომ ყური უგდოს?

მარო

ჯერ-ჯერობით ბიძა ჩემს მივანდვე.

სოსრო

იცის კანონები? შეუძლიან აწარმოვოს საქმე, ხა-
ჩივარი რომ დასჭირდეს?

მარო

საჩივარი რათ უნდა დასჭირდეს?

სოსრო

ვინიცობაა გასესხებული დროზე ვერ აღლოს... ვე-
ქსილები... დავა... დარაბა... ათასი რამეები შეიძლება
გამოტყვრეს მოულოდნელად.

მარო

სავექსილო არა დაგვრჩენია რა!... ფულები ბანკში
ჰქონდა შეტანილი.

სოსრო (თავისოფის ულვაშების გრეხით)

ლამაზი არ არის, მაგრამ ძალიან ეშხიანი კი არის...
ამ შავებში მაინც... (მაროს) მაშ თქვენ დიღხანს აღარ
დარჩებით აქა?

მარო

დიახ, დროებით ჩამოველ! ოჯახსაც ყურის, გდება
უნდა.

გამოსვლა მესამე

სინივე და ჭერა (შემოვარდება ვახარებული).

ჭერა

ოჟ მოსულან კიდეც? უკაცრავათ, დამაგვიანდა.
(ნიკოს) საღამო მშვიდობისა! (ხოსროს) შენთან არი რამ

მაქეს სამახარობლო, გეტყვითუ სამახარობლოს მომცემ.

სოსრო

რა არის? არ შეიძლება გვიბძანოთ?

ქეთო

გვიბძანეთო! ეგ რა არის, რომ მანგრე გულ-ცივად დამიხვდი?

სოსრო

ცივათ რა... ცეცხლს ხომ ვერ გავაჩენ... ნეტავი ყმაწვილი არ იყო!.. გვითხარი, აბა რა იცი?..

ქეთო

გითხრა?

სოსრო

ჰო!

ქეთო

სამახარობლოსაც მომცემ?

სოსრო

ბატონი ხარ!

ქეთო

იცი რას მოგთხოვ სამახარობლოს?

სოსრო

ჰო კარგი! რაც გენებოს, ოლონც კი სოქვი და გაათავე!

ქეთო

ჩემ ძმას იჯარაში ზარალი უნახავს, რაც ფულები ჰქონდა წაუყია და ჩემი ფულებიც თან მიუყოლებია... გაკოტრებულა.

სოსრო

მერე და ეგ რა გასახარელია.

ქეთო

არა... ძმა კი მეცოდება, მაგრამ მე კი ჩემდა თავად
ძალიან კმაყოფილი ვარ.

ხოსრო (შემკრთალი)

რა ხუმრობაა?!

ქეთო

ახლა მე უმზითვო ქალი ვარ!.. შენც ხომ ეს გი-
ნდოდა.

შარო

გეთაყვა, მანდ სასიხარულო რა არის?

ქეთო

ეს სულ იმას მეუბნებოდა, ნეტავი შენ მზითევი
არა გეონოდაო. ჩვენ ჩვენის შრომითაც შეგვეძლო თავი
გვერჩინაო. ახლა, რომ მზითევიანი ხარ, შეიძლება შენცა
და სხვებმაც ბევრმა გაივლოს გულში, რომ ფულისა-
თვის მიყვარხარო; მე, რასაკვირველია, ეჭვი არ მომივი-
დოდა, მაგრამ ზოგი-ერთობი კი სხვა გვარად ჰფიქრო-
ბდენ და ახლა ხომ დარწმუნდებიან! განა ხოსრო?

ხოსრო (გამოფხიზლდება)

ჰმ! რაო? ჰო, რასაკვირველია! რასაკვირველია.
(ესიმება ძალდატანებით).

ქეთო

ეგ კიდევ არაფერი! მეორე კიდევ უფრო სასიამოვ-
ნოა, მაგრამ აქ არ გეტყვი. მაჩვენე ყური. (ეჩურჩულება.
ხოსრო შეკრთება) გზაში ვიგრძენი... ხომ გიამა?.. ა?...
მაგრე რათ გაშტერდი? ოვითქოს ეწყინაო!.. (მაროს)
ვიცი, ვიცი... მივხვდი, ამან ასე იცის... ვითომ და არ
მიამაო! სამახარობლო უნდა შეირჩინოს... განა? მე ჩემი
სამახარობლო უნდა ავიღო! (მივარდება და ჩამოეკიდება ყელზე).

ნექო

ფხხხხუუუ!! (აირეხს სიცილს).

შარო

ახლა კი ჩემსკენ დატრიიალდა ბორბალი.

ტ ე რ დ ე

მოქმედება მესამე

ცენა პირველი.

აზიურად, მდიდრულად მორთული ოთახი ხოსროს სახლში.

გამოსვლა პირველი

ხოსრო და ზაქარა შემოდის.

ხოსრო (სტოლთან ზის და სწერს.
ცოტა ხნის შემდევ ზარს რეკავს. ზაქარო შემოდის)
ზაქარო!

ზაქარო

ბატონი!

ხოსრო

იყავი?

ზაქარო

გახლდით.

ხოსრო

შეიტყვე რამ?

ზაქარო

როგორ არა! აღარავინ აღარ დადის მისას. დამ-
წყვდეულია კარ დაკეტილში, მისთვის აღარც მოახლეა
და აღარც ძიძა. თვითონვეა ყოველიფერი.

ხოსრო

გადაეცი?

ზაქარო

გადავეცი; მაგრამ, რომ ვუთხარი თქვენგან იყო,
აღარც კი გახსნა... ცხვირ-პირში მახალა.

ხოსრო

ჩანს, რომ ჯერ კიდევ კარგად არ სწვევია გაჭირვება.

ზაქარო

განა მეტი-ლა შეიძლება? შიმშილით ფერი დაჰკარგვია.

ხოსრო

მაშ რატომ არ მიიღო?

ზაქარო

რა მოგახსენოთ.

ხოსრო

მაკლდეს მისი მოწყალებანი. ადრე თუ გვიან
დათანხმდება. (დალის დაფიქრებთლი) ის კაცი წელან რომ
მოვიდა, აქ არის?

ზაქარო

აქ გახლავსთ.

ხოსრო

უთხარ შემოვიდეს.

ზაქარო

ბატონი ბძანდებით. (ზაქ. მიდის, ხოსრო სწერს.)

გამოსვლა მეორე.

ხოსრო და ბალდასარ (შემოდის)

ხოსრო

ბალდასარ!

ბალდასარ

ბატონო, შენი ჭირიმე?

କହୁଶର୍କ

କମି ପାପ କିନା କାର? ରାଶ ଗାହୁମେଦୁଲଖାର? ଦାଗାଵିଷ୍ଟ୍ୟ-
ଲା? ଶେନା କାର କେହିଟ କେହାତୁଳିବାନି ସାକ୍ଷାତୁଳିଲା. ଅବାହାଯି,
ପିନ୍ଧିଲାନ ଗାମଜ୍ଜପ୍ରେବଲା ଗ୍ରେଶମିଲା?

ଦେଇଦାଶକ

ପାପି, ହେମି ଦାତୁନା!

କହୁଶର୍କ

ଦଲଙ୍ଗ ଦାଲଦାଶାର ଦୁଇଦାଲଙ୍ଗ କାର... ତୁ କମି ପାପ
ବିନ୍ଦୁ ଗାଗିଏତା ଏହ କାଳାଲଙ୍ଗ?

ଦେଇଦାଶକ

ତୈଜ୍ୟେନ, ଶେନି କୀରିମେ!

କହୁଶର୍କ

ମାତ୍ର ଖର୍ଦ୍ଦା ଗାନ୍ଧେରଙ୍ଗଙ୍ଗ, ରମି ଶେନି ଶୃଣୁ ହେଇ
ଥିବା.

ଦେଇଦାଶକ

ଗାନ୍ଦା କାର ପାପି.

କହୁଶର୍କ

ହେମି ଗୁଲିବାତ୍ବିଲି ଫ୍ରାନ୍ତିଶାପ ଖର୍ଦ୍ଦା ହାବାରଙ୍ଗ ଏ ପ୍ରେପ୍ରି-
ଲିଶାପ ଲାଇଛିବା.

ଦେଇଦାଶକ

ମହାତା ପାର, ଶେନି କୀରିମେ... ଗାନ୍ଦା ତାଙ୍କ ପଞ୍ଚବାଦ:

କହୁଶର୍କ

ମାତ୍ର କାରଗି!.. ସାତୁଳସାଲାଶି କ୍ଷୁଦ୍ର?

ପ୍ରକୃତିକାଳ

ଗାନ୍ଧଲଙ୍ଘିତ.

କହୁଶର୍କ

କାହେ?

ଦେଇଦାଶକ

ପିନ୍ଧାହେ.

სოსრო

რაო?

ბაღდასან

ორასს იძლევა!

სოსრო

რვაასიდან? მიჰქარავა! ორასი თვითონ დაიტოვოს
ხელის მოსანაცვლებლად, რომ მეორედაც კიდევ გაე-
ბას... ექვსასი გამოართვი და გამოუშვებ.

ბაღდასან

ვეცლები და იმედიცა მაქვს.

სოსრო

სამაგიეროდ ვის ამზალებ?

ბაღდასან

ერთი საწყალი სოფლელი გახლავსთ.

სოსრო

მთხრობელიც გამოჩნდა?

ბაღდასან

მყავს.

სოსრო

მოწმებიც?

ბაღდასან

მზათ გახლავან.

სოსრო

ჩვენება ხომ არ დაგბნევიათ?

ბაღდასან

როგორც თქვენ ასწავლით ისე იტყვიან; პირველი
ხომ არ გახლავსთ.

სოსრო

მაშ კარგი; ხვალე შევუდგეთ საქმეს. შეგიძლია

ახვიდე. (ბაღდასარი მიღის).

ხოსრო (მარტო)

არ მიდის ურიკოდ ჩემი საქმე: უფროსები კარგის
თვალით მიყურებენ და ან კი რა ძნელია მათი მოტუჭ-
ება! მერე შენზე ვინც რა უნდა სთქვას, აღარ დაი-
ჯერებენ...- დიახ... ჩემი გამომძიებლობის სახელი თან-
და-თან განთქმულია... ეს ერთი გამოძიებაც კიდევ
სახელს მომიმატებს... მეც ხელცარიიელი არა ურჩები?!
(აღვენა და დადის) „ცოდვაო“ იტყვიან. რას მიქვიან ცო-
დვა, მადლი? ესეები ყველა უგნურების შესაშინებლად
არის გამოგონებული, კაცობრიობისათვის სულ ერთი
არ არის პეტრეს იცნობენ დამნაშავეთა და მიახრიბენ
თუ პავლეს!.... ან ერთით რა დაკლდება ქვეყანას?..
(დაფიქრდება) თუ ჩემ საქმესაც მოვრჩი როგორმე.. ჰმ,
ახირებულია ჭეშმარიტად! ბიძა მისს როგორც იქნა გა-
დაკრჩი და ახლა თვითონ ქალი ამტეხია: გინდა თუ არა
ჯერ იმას გაუთავე საქმეო. გააფთრებულ დედაკაცთან
საქმის დაკერას ტარტაროზის ჩხერი სჯობია. (საათს სი-
ნჯავს) ოჯ, შვიდი შესრულებულა, დრო არის წავიდე.
ზაქარო! ზაქარო!..

გამოსვლა მესამე

ისივე და ზაქარო

ხოსრო

დღეს პოლიციელი ხომ არავინ ყოფილა ჩემთან?

ზაქარო

არავინ გხლებიათ.

ხოსრო

არც სხვა ვინმე?

ზაქარო

ჭალი გახლდათ პირ-ბადიანი, მაგრამ გავაბრუნე..
ხოსრო

პირ-ბადიანი? ჰო, ვიცი ვინც იქნებოდა! (თავისთვის)
გარო უნდა მოსულიყო... გესმის შენ, ზაქარო!.. მე ცო-
ტა ხნით სხვაგან მივდივარ და თუ ის ჭალი კიდევ შო-
ვიდეს სთხოვე მომიცადოს! სხვა მის მეტი ალარავინ მი-
იღო.

ზაქარო (ლრუჯით)

ბატონი ბრძანდებით!..

ხოსრო

მოიტა შლიაპა! პალტო!.. (იცვამს) ახლა ჯოხიც!
აბა თვალ-ყური უგდე აქაურობას (მიღის)

ზაქარო (მარტო)

რა ყოჩალი რამ არის აღა! დილიდამ საღამომდე
სულ საქმეშია ერთავად... რამდენი კაცი და ჭალი იქ
იმასთან მოდის, ანგარიში არა აქვა! მაგრამ ის ერთი, რომ
მოდის, ის ვინდაც პირ-ბადიანი, ის სულ სხვა არი. ამას
წინედ ბევრი ვუჭვრიტე გარედან, რას შერებიან მეთქი,
მაგრამ არა... ისეთის წოწიწებით ემუსაიღებოდა აღა,
რომ თითქოს არქიელიარ! ნეტავი ვინ უნდა იყოს და
რათ მოდის? (ისმის ზარის რეკა) ეჭ. ვიღიც გაჩნდა! ეგება
ისიც იყოს. (გარბის. ცოტა ხნის შემდეგ მისი ხმა მოისმის) მო-
ბანდით! გთხოვთ მოიცადოთ... მეც მიბანა, სხვას ნულა-
რავის მიიღებო. მობანდი... მო..

გამოსვლა მეოთხე

ქეთო შემორბის სირბილით პირ-ბადით

ქეთო

უჭ, ძლივს მივაღებიე თავი... მომიცადეთო? ნეტავი
ვის ელის? იჭ, ვინც უნდა იყოს, ჩემთვის ხომ სულ

ერთია. მე კი დღეს უთუოდ უნდა დავაბოლოვო ჩემი
საქმე, ან ავათა და ან კარგათ. (ისმის ზარის რეკა) გილაც
მოვიდა... იმ ოთახში მოვიცდი. (შედის მეორე თახში გა-
რელან ზაქაროს ხმა) არ შეიძლება: ვერ შეგიშვებთ! ნაბიანე-
ბი მაქვს, აღარ მიიღოთ!

გამოსვლა მესუთი

(მარო შემოდის პირბადით და თან შემოჰყება)

გარო

რას ტუტუცობ! ის ჩემზე არ გიბრძანებდა! მე უნდა
აქ მოვიცადო და შენ წალი აღარავინ მიიღო ბატონის
დაბრუნებამდე.

ზაქარო

თქვენ? მაშ ის ვინდა არის? (მიიხედ-მოიშედავს, თავის-
თვის) სად მიმალულა? ე რა მასკარადია! (გადის)

მარო

რაებსა ჰბოდავს! ვინ სად მიმალულაო?

გამოსვლა მემავსე

(ისივე და ქეთო გამოდის)

ქეთო

ვინა და მე! ჩემზე ანბობდა. (მარო შეკრთება) მანგრე
რათ შეკრთი? განა ვეღარა მცნობი? (მიუახლოვდება და
პირ-ბადეს აიხდის) აბა შემომხედე.

გარო

ქეთო!

ქეთო

დიახ, ქეთო! შენ კი პირ-ბადეშიაც! გიცნობ! მარო,
კარგია, რომ აქ მაინც შეგხვდი.

მართ (აიხდის პირ-ბადეს)

რა გნებავს?

ქეთო

სამჯერ ვიყავ შენთან და არ მიშიღე... წერილებს
ჭიგზავნი და უკანვე მიბრუნებ! რა მიზეზია?

მართ

ის, რომ ჩვენის მეგობრობის კავშირი გაშედა და
საერთო აღარა გვაქვს რა.

ქეთო

საერთო აღარა გვაქვს რა, თუ საერთო რომ გვაქვს,
შიტომ ვერიდებით ერთმანეთს?

მართ

ეგეც შეიძლება-

ქეთო

კი, მაგრამ მე ხომ საჩხუბრათა და სასაყვედუროთ
არ დაგეძებდი?

მართ

მაშ სამეგობროთა და საალერსოთ?

ქეთო

არც. მაგისათვის! საქმე მქონდა: შენგან შემწეობას
ჭითხოვდი... დახმარებას.

მართ

შემწეობას?

ქეთო

დიახ, როგორც უბედური ქალი ბეღნიერისაგან.

მართ

მაშ მითხარ რა გინდა?! (ჯლებიან)

ქეთო

მართ! შენ ხომ იცი, რომ მე ხოსროს ვუყვარდი?

მართ

სწორედ! მაგრამ ესეც ვიცი, რომ დღეს აღარ უყვარ-
ხარ.

ქეთო

არა თუ აღარ უყვარვარ, ვეზიზლები და მდევნის,
დღეს შენ უყვარხარ და შენის მიზეზით აიღო ჩემზე
ხელი.

მართ

ისე, როგორც შენი მიზეზით აღრე მე მიმატოვა.

ქეთო

შეიძლება, მაგრამ შენი მაშინდელი მდგომარეობა
და ჩემი ახლანდელი სულ სხვა და სხვა არის... მაშინ
შენ გიყვარდა ის შორიდან, უფლება მიუნიკებლად და
მე კი დედა ვარ!.. მისის მოშორებით შენ, გარდა სი-
ყვარულისა, არასა ჰკარგავდი და მე კი ყოველიფერსა
ვკარგავ:

მართ

რა იცოდი, რომ სიყვარულის დაკარგვით, მე ყო-
ლიფერს არა ვკარგავდი?

ქეთო

გაჩერებნობა შენი... სახელი... სინიდისი და პატი-
ოსნება, ყოლიფერი, რაც კი აღამიანისათვის საჭირო
და ძვირფასია, შეუბლალავი რჩებოდა... მე კი დღეს ცო-
დვილი ვარ ქვეყნის თვალში ჭ შვილის წინაც შემცო-
დე, დღეს ის შიმშილით მიკვდება.

მართ

აკი გაძლია ხოსრომ ფულები?

ქეთო

მე ჩემი თავი განა გასასყიდათა და სავაჭროთ გა-
მოვიტანე? მაგას როგორ ანბობ?

შარლ (თანაგრძნობით)

მაშ, მომეცი შენი შვილი და გაძლევ სიტყვას, ისე
მოუარო რცგორც ნამდვილმა დედამ, ისე გამოვზარდო,
როგორც შვილი.

ქეთო

როგორ გეტყობა, რომ არ გამოგიცდია დედობა!..
სხვის კარზე უნდა დავაგდო, ის ერთად ერთი ჩემი ბე-
დნიერება და ნუგეში გულიდგან ამოვიგლიჯო? არა,
არა! ეს შეუძლებელია.

შარლ

მაშ რა ვქნათ, ქალო?

ქეთო

შენ შეგიძლია, რომ ჩემ შვილს მამა დაუბრუნო
და უკანონოს წილება ააცდინო.

შარლ (დაფიქრდება)

ხელი ავიღო ხოსროზე?.. არ შემიძლია!.. და მე
რომ კიდევაც მოვიშორო, დავსთმო, რა გამოვა? სიყვა-
რულს მეორეთ მაინც აღარ დაგიბრუნებს.

ქეთო

მე მაგას არა ესთხოვ!.. მხოლოდ ჯვარი დაიწეროს
ჩემზე.

შარლ

მერე მე?

ქეთო

შენ რასა ჰყარგავ? გამოვალთ თუ არა ეკკლესიიდ-
გან, ის მისთვის და მე ჩემთვის!,

შარლ

მერე და ნება აღარ ექნება...

ქეთო (აწყვეტილებს სიტყვას)

მე ჩემს თავზე აღარ ვფიქრობ, მხოლოდ შვილზე
ვზრუნავ, (ათრთოლებულის ხმით) გაძლევ პატიოსან სიტყვას...
გავწირავ ხელ-მეორედ ჩემს თავს... ვიკისრებ ყოველი-
ფერ საძაგლობას და ჩემს უნამუსობის დამტკიცებას ხე-
ლში ჩავუგდებ, რომ კანონიერად გაყრა შესაძლებელ იქ-
ნეს... მაშინ... მაშინ... ხომ ნება ექნება შეგირთოს-
(ტირის) აი, ამას გთხოვ, როგორც უბედური დედა ჭა-
საუკუნოდ ბოლო მოღებული ქალი. (ტირის)

მართ (ცრემლებს იწმენდს)

საცოდავი და საბრალო! ოჰ, ღმერთო! რათ გაგი-
ჩენია სიყვარული? (კადახვევა) ქეთო! ჩემო ქეთო! რატომ
არ შემიძლია, რომ გიშველო რამე!..

გამოსვლა მეშვიდე

ისინივე და ხასრო შემოდის.

სოსრო

ჴა, ეს რა ამბავია? მარო! რა უნდა შენთან ცბიერს?
როგორ არა გრცხვენიან, მაგ ცრუსა და მატყუარას აპ-
ყოლიხარ. (ქეთოს) ვინ მოგუა ნება აქ შემოსვლისა? ზა-
ქარო! ზაქარო!

მართ (მეღილურად)

მე... მე შემოვიყეანე

სოსრო (გაკვირვებით)

შენ?!..

მართ

დიახ, მე! და გაძლევ სიტყვას, სანამ ამას არ გა-
უთავებ საქმეს, მე და შენი ცოლ-ქმრობა არ მოხერხდა-
ბა!..

სოსრო

მარო! რას ამბობ!... როგორ თუ...
მარო

მითქვამს და გამითავებია! მე ჩემს სიტყვას აღარ
შევშლი, მშვიდობით. (გადის)

სოსრო (გამოვეიდება)

მოითმინეთ... გამოგონეთ...
მარო

არა, არა, უნდა გაასწოროთ საქმე. (გადის)

სოსრო (დადის აღელვებული, მერე
მივა და დაადგება ქეთოს თავზე)

ეგ გინდოდა რაღა?

ქეთო

რაც მინდა კარგად იცი!...

სოსრო

დედა-კაცო! ქაჯი ხარ თუ გველეშაპი? მძულხარ,
შეზიზღები, არ მიყვარხარ და ვერ გავიგე რას ჩამციები-
ხარ? რას მეღობები გზაზე?

ქეთო

მე შენ სიყვარულს არა გთხოვ!.. მინდა, რომ მოგა-
გონო შვილის შესახებ შენი მოვალეობა, როგორც მამას.

სოსრო

რა მოვალეობა? გაბარების ნებას არ მაძლევ და
ფულს არ იღებ.

ქეთო

ეგ არის განა მოვალეობა? აღრე მაგრე ირ მიხსნილი.

სოსრო

მაშ რა გინდა?

ქეთო

მე დამიბრუნე სახელი და შენს შვილს გვარი მიე-
ცი!

სისრო

ხა! ხა! ხა! რა ცოტასა მჯერდები!..

ქეთო

მერე მივიღებ ჩემს თავზე ყოველსავე მიზეზს, რომ
გაგეყარო და შენ კი ნება მოგეცეს ცოლის შერთვისა..

სისრო

ეგ სად დაგარიგეს?

ქეთო

ამით შენ რასა ჰყარგავ?

სისრო

იმას, რომ მეზიზლები; შენი დანახვაც კი მეზარება.

ქეთო

შვილმა რაღა დაგიშავა?

სისრო

ვინ შვილია? რას ანბობს? დაგიჯინია შვილი და
შვილიო! რა ვიცი, რომ ჩემი შვილია?

ქეთო (ალელუებით)

ახლა იმასაც უარს ჰყოფუ?!

სისრო

საფუძველი არა მაქს თუ? ქალი რომ ერთს უკა-
ნონოდ გაჰყვება, ის სხვებსაც არ უარ ჰყოფს!

ქეთო

უსინდისოვ! პირუტყვლი... მემართლები მაგას?!

სისრო

გთხოვთ გაბძანდეთ აქედან!

ქეთო

ტფუ!...

სისრო

არ გინდა გახვიდე ნებით... მაშ კარგი! ზაქარო!
ზაქარო! (შემოდის ზაქარო) გაათრიე დაუკეტე კარები!

ქეთო (რეოლვერს ამოიღებს სანამ
მობრუნდებოდეს ხოსრო და მიუშინებს)
ახლა კი უნდა გავსწორდეთ! (დაუცემინებს ჩახმახს და
არ გავარდება).

ხოსრო

რას შვრები! (მივარდება და გამოჩბლეჯს რევოლვერს)
დაიჭი, ბიჭი ვერა ხედავ მოკვლას გვიპირებს! (იპერენ).

გამოსვლა მიზანი.

ისინივე და არჩილ შემოდის.

არჩილ

ეს რა ანბავია?

ხოსრო (შეშინებული უშვებს ხელს
ჰა? შეთქმულობაა...
და ჩამოდგება)

არჩილ

ნუ გეშინიან, შენს მოსაკლავად არ მოვსულივარ!
(ქეთოს) ეს რა ამბავია?

ხოსრო

მოსაკლავად შემომიხტა! აი დახედე ამ რევოლვერს.

არჩილ

არ გემართლება თუ!..

ხოსრო

მაშ თქვენ დაარიგეთ?

არჩილ

სსსუუუ! ორ ვაჟკაცს გაგიყავებიათ ერთი ქალი და
არც კი გრცხვენიათ. ქეთო! ეს რა მოგვსვლია... აქ რა
გინდოდა... ვის სახლში შემოგიდგამს კიდევ ფეხი?!!

ქეთო (აშფოთებული)

მინდოდა შვილის თაობაზე მომელაპარაკნა... და
მაგან კი შეურაცხყოფა მომაყენა..

არჩიდა

აკი გითხარი, რომ მე მოველაპარაკები მეთქი.. მაშ
მე რაღათ მოვდიოდი, თუ არ მაგ აზრით.

სთანთ

ვიცით რა აზრითაც!.. აი დამტკიცება..

ქეთო

უარს ჰყოფს შვილსაც.

არჩიდა

და შენ კი განა სხვა რასმეს მოელოდი მაგ უსინ-
დისოსგან?

სთანთ

მოწყალეო ხელმწიფევ...

არჩიდა

სსსუუ!.. შენ არ გელაპარაკებიან.

სთანთ

ჩემ სახლში...

არჩიდა

სსსუუ! გაჩუმდი.... შენ გინდა, რომ მაგან გვარი
დაუმტკიცოს და სახელი მისცეს შენს შვილს? შემცდარ-
ხარ! მაგისთანა მამის სიხელის ტარებას, ყოველგვარი
ბიწიერება სჯობია!.. შვილს რათ არცხვენ მაგითი. დევ
ისევ უთვის-ტომოთ დარჩეს და ღვთის შვილათ!.. წა-
ვიდეთ... წავიდეთ. აქ შენი ადგილი არ არის. (მიღიან):

სთანთ (გაანჩხებული-გამოუდება)-

ნამეტან ნებას აძლევ შენს თავს.. მე შენ ვერ
დაგითმობ...

არჩიდა (მიუბრუნდება)

იქით! შე საზიზლარო. (მიღიან).

გამოსვლა მეტხე.

ისინივე გარდა არჩილ და ქეთოსი.

სოსრო (ზარ-დაცემული დვას ჭიდ-
ხანს. ზაქარო შეჰყურებს)

ზაქარო!

ზაქარო

ბატონო!

სოსრო

მმ, ხედავ რა ანბავია?

ზაქარო

ე რა ოხერი ვინმე ყოფილა, შენი ჭირიმე.

სოსრო (იღებს პორტმანს და ფულებს

ზაქარო! აჲა, ეს შენი საჩუქარი.

აძლევს)

ზაქარო

რათა შენი ჭირიმე?

სოსრო

სიკვდილს რო გადამარჩინე.

ზაქარო

მე, ბატონო?

სოსრო

დიახ, შენ... ქურდულად შემომეპარენ, ზურგზედ
რევოლვერი მომადეს და მოკვლას მიპირობდენ.

ზაქარო

როდის შენი ჭირიმე?

სოსრო

მაგრამ იმ დროს შენ მოასწარ თვალი და გადაშარ-
ჩინე სიკვდილსა. გესმის?

ზაქარო (მიხვდება)

სწორეთ მანგრე გახლდათ! შემოვიდა ქალი...

სთარო

ქალი არა, ტუტუცო!... ის კაცი... კაცი... და თუ
შენ არა, ახლა მკვდარი ვიქნებოდი.

ყაქარო

სწორეთ, თქვენი რისხვა ნუ მომეცემა... თუ მე არა...

სთარო

ჰო, კარგი, ახლა ბევრს კი ნულა მოჰყვები! კიდევ
მიიღებ საჩუქარს!..

ყაქარო

გმაღლობ, ჩემო ხელმწიფევ!

სთარო

ახლა წალი და სხვებსაც შეატყობინე. (დაფიქრდება)
ესეც კიდევ ერთი დუშაში!.. გაება!.. (მიდის).

ლ პ რ დ პ

მოქმედება მეოთხე

სცენა პირველი.

უკიდურესად ლარიბი ოთახი, სარდაფის გვარი. კუთხეში ბავშვის კრაოტი დგას.

გამოსვლა პირველი.

ქეთო (საკერავი უძევს წინ სტოლზე
და თითებზე სულს იბერავს)

ნევსს ხელს ვეღარ ვაკარგებ. თითო თითზე ვერ მი-
მიტანია. უმ, რა სიცივეა. (წამოლგება) მივიდე ვნახო რასა
შვრება. (მიღის კრაოტთან და დაჰურებს) ფშვინავს... ღმერ-
თო, კეთილად შეარგე ეს ძილი! მაგრამ მარტო ძილით რა
გამოვა? ორი დღეა ამის პირში არა ჩასულარა. (ცრემ-
ლებს იწმენდავს) ზედა სართულში, იქ, მაღლა ბედნიერი
ცოლ-ქმარი სცხოვრობენ განცხრომით და ვერა გრძნო-
ბენ, რომ აქ, ძირს, მათ ქერ-ქვეშ, აყროლებულ სარ-
დაფში უბედური დედა-შვილი სიცივითა და შიმშილით
კვდებიან. წავიდე ერთი საკერავი მოვათაო, რომ ეგება
წამლის ფასი მაინც ავილო. (მიღის და მოუჯდება საკერავს,
რომ დაიწყებს ნემსი ეჩხვლიტება ხელში) პიიი! (თითზე იქცენს და
შეჩერდება). რა უსამართლოა ქვეყანა! ეს ვთქვათ, რომ
მასწავლებელათ სახლში არაეინ შემიყვანს, არცარავინ
შვილს მომაბარებს, ამას ქვეყნის ფარისევლობა მოითხოვს,
მაგრამ საკერავსაც რომ არ მაძლევენ? გადასაწერიც რომ

ველარ მიშოვნია? თითქოს გადამდები რამე მჭირდეს და
ეშინიათ, ჩვენც არ გადმოგვედოსო. ოჲ, ღმერთო ჩემო!
მოვიყლავდი თავს, მაგრამ ეს ვის უნდა დავუტოფო?
მათხოვრობა დავიწყო? როგორ უნდა მოვახერხო, რომ
დღე მრცხვენიან და ღამე მეშინიან და ან კი ვინ გამო-
მიწოდებს სამოწყალოდ ხელს, ვის შევებრალები! ოხ,
ღმერთო, ღმერთო! თუ მე მართლა ისეთი შემცოდე ვარ,
მარტო მე გადამახდევინე და ჩემს შვილს ნუ მოჰკითხავ!
(თავს ჩადებს საკერავში).

მამოსვლა შეორე

იგივე და ნენე შემოდის
ნენე

ჰა, აქა მშვიდობა! რასა იქ შვილო? (ჩადრს მოიხდის,
მიბრუნდება კუთხისკენ და დადებს).

ქეთო (თავისთვის)

უჱ, კიდევ მოვიდა ეს შეჩვენებული?

ნენე (მობრუნდება)

ჰატარა როგორა გყავს?

ქეთო

წუხელი მთელი ღამე თვალი არ დაუხუჭავს და
დღეს კი სულ ძილათ არის მიგდებული.

ნენე

ჰო, ეგ კარგი ნიშანია! ღმერთმა გაჩუქოს, შვილო,
ღმერთმა! სხვა საკერავიც გიშვივია?

ქეთო

ვიშვევ, მაგრამ, რომ ველარა ვკერავ, სიცივემ ხე-
ლები დამაყრევინა.

ნენე

მერე, ვისი ბრალია, შვილო, რათ იჭირვებ საქმეს?

ქეთო

რა ვქნა, ასე მოუტანია ჩემს ბედს.

ნენე

ბედს რას აბრალებ: ის კარზე მოგდგომა, მაგრამ
შენ კი წიხლსა სცემ.

ქეთო

თუ ღმერთი გწამს, მაგაზე ლაპარაკს ნუ დამიშევებ.

ნენე

რატომ, შვილო! იმდენი იხარე რამდენი სული მა-
გისთანა ბედს შენატროდეს.

ქეთო

და ღმერთმაც მათ მისცეს.

ნენე

სად არის, შვილო! ბედი ყველას ხომ არ მიაღვება
კარზე. ათასში ერთთან მიაწყდება და თუ პირი აბრუ-
ნებიეს, მორჩა და გათავდა... მეორეთ კი აღარ მიეძა-
ლება. აბა, შვილო, კარგად იფიქრე.

ქეთო

გეთაყვა, კიდევ გაგიმეორებ, მაგ გვარ რამეებს თავი
დაანებე!

ნენე

ქა, რათაო? გული შემტკივა შენზე, შვილო და
დედა-შვილურად მიტომ გირჩევ, თორემ მე რაო? აბა რა
არის შენი ყოფა? შენ თუ გინდა, შენს თავს აღარ
ჰზოგავ, მაგრამ ი შვილი მაინც აღარ გენანება? იმეტებ?
ცოდვა არ არის, რომ იმისთანა ანგელოზი უპატრონოთა
კვდებოდეს? (ქეთო ტირის) არა, შვილო, შვილსაც უპატ-
რონე და შენ თავსაც გაუფთხილდი, ჰო, ჩემი სულის
ცხონებამ... ვარდივით გიყვავოდა ეგ ლოკები და ეხლა.
რასა გევხარ?.. ზაფრანის ფერი გაძევს!.. აფხუს ქალო!
ღმერთს კიპაჟის ქალათ გაუჩენიხარ და შენ კი...

ქეთო

ოხ, ღმერთო ჩემი! მე წამალზედა ვფიქრობ; დოქტორი მენატრება და ეს კი ეკიპაჟებზე მელაპარაკება.

ნენე

მაშინ წამალიც იქნება და დოქტორიც... თაფლი იყოსო, თორემ ბუზი ბალდადიდანაც მოფრინდებაო! ფული იყოს, თორემ დოქტორები რამდენიც გინდა, თვითონ ჯანაოზ ექიმიც წამოდგება საფლავიდან, ჰო, დედაშვილობამ... არა, შვილო, არა! მე შენ ურიგოს არას გირჩევ! ის სულ სხვა კაცია. იცი კიდევ რას გეტვი... დედაშვილობამ, თუ თავს კარგად დაიჭერ, ახლა კარგად როგორ? აშკარა ნურა იქნება-რა, თუ თავს კარგად დაანახვებ, შეიძლება კიდეც. შეგირტოს.. ჰო, დედაშვილობამა.

ქეთო

რაები მესმის და რა უნდა ავიტანო! (ხელებს იმტვრევს):
ნენე

ვინ ანბობს... მართალია, შვილო, ახლანდელ დროში კაცი ძნელი სანდობია, მაგრამ ის სულ სხვა კაცია ღვთისნიერი, პატიოსანი... სული წამიწყდეს, თუ მე რამე მეთქოს, ისე თავის თავათ ამოილო ათ თუმნიანი და გადმომცა... შენი სახლის ქირა გამორიცხე და დანარჩენი იმას მოახმარეო... ჰა, შვილო, ესეც შენი შვიდ თუმან-ნახევარი. (დაუდებს ფულს წინ).

ქეთო (ხელსა ჰყავს ფულებს და განაპნევს)

დამანებე თავი! ვერ შეიტყე რომ...

ნენე

ქა, ერა ბიაბრობაა?.. შენთვის თუ მეტია; ჩენენ რაღას გვერჩი? (ახვერამს ფულებს).

ქეთო

უსირცხვილოს

ნენე

ქა!

ქეთო

უნამუსო!

ნენე

ქა! ქა! უი დამიდგეს თვალები! ე რა ესმის ჩემს
ყურებს? „უნამუსოო!“ ვისგან მესმის და ვინ მიბედავს!
ვერა ჰედავთ ამ ლირფსა და აბარს? ოვითონ ნაბიჭვრე-
ბით სახლში შემომეჩებირა და მე მედახის უნამუსოს!.. ცხო-
ნებული ჩემი თათუას მეტს ჩემი გვერდი თუ ვისმეს ენა-
ხოს ე სული წამიწყდეს!.. და ე რაები მესმის!... ქა,
უნამუსო!

ქეთო

მაშ რა გინდა ჩემგან, რომ ამტეხიხარ?

ნენე

როგორ თუ რა მინდა? ჩამოშესახლე და ქირასაც
აღარ იძლევი?

ქეთო

ვიშოვნი როგორმე და მოგცემ... ხომ გითხარი?

ნენე

მიშოვნი?.. თუ არ დაგიშლია ციდამ ჩამოგიყრიან
დოვლათს!..

ქეთო

დამაცა ჯერ! ან მოკვდეს და ან მორჩეს ეს ჩემი
შვილი და მაშინ მეც ხელ-გახსნილი ვიქნები, შეიძლება
საქმე გავიჩინო.

ნენე

როგორ არა! ნაჩალნიკობას მოგცემენ შენ ზავედე-
ნიაში! მაგას რომ ვუყუროთ, ვინ იცის რამდენს ხანს გას-
ტანს. ეგება სულ მანგრე იქნავოს ძალლის ლეკვივითა...

არა, შეილო, დამიცალე ჩემი ოთახი! გიურ ვიყავ, რომ
აქაშისისაც დაგაყენე... ხათრს გინახამდი... მებრალებოდი,
სხვას არ ვაძლევდი... მუშტრები დღე ნიადაგ კარზე
მაღვნენ... ჰმ... უნამუსოო... მაღლობის მაგიერია...
დღესვე დამიცალე, თორემ ხვალ პოლიციას გავაყვანიებ
შენს თავს (მიღის გაანჩხლებული) უნამუსოო, საუცხოვოა...

გამოსვლა მესამე

(ქეთო მარტო დგას თავ-ზარ დაცემული).

ქეთო

მაგდებს სახლიდგან... მომაკვდავი შეილი კნუტი-
ვით უნდა გადამიგდონ ქუჩაში? არა, არა, მართალი
მითხრა იმ შეჩვენებულმა: „რა ნება გაქვს, რომ შეილი
გაიმეტოო?“... რა დროს თავ-მოყვარეობაა და პატიოსნე-
ბაზე ფიქრი?.. არ მინდა კალიასკა... სიმდიდრე, ფული...
საცხოვრებელი... მხოლოდ წამლის ფული... წამლის...
ექიმის მისაცემი... წავალ... წავალ და დავეთანხმები.
(გარბის. მიაღვება კარებს, შეჩერდება, მობრუნდება) არა, არა
არ შემიძლიან, არა! (ტირის) ნუ თუ სხვა საშუალება
აღარა არის-რა?... ჰი! (გაახსნდება) მართასთან ავალ, მა-
რთასთან, იმას დაუჩინქებ..! მუხლებზე მოვეხვევი, არ შე-
მიბრალებს? (დაფიქრდება) შე...მი...ბრალებს? ხა, ხა, ხა, ხა!
სამოწყალოს მომცემს... ან კი ვინ შემიშვებს იმასთან?
ვინ მაჩვენებს? (დაფიქრდება) არც ერთი და არც მეორე
ისევ სიკვდილი — მაგრამ შეილი? ის ვიღას დაუტოვო?..
ნუ თუ ქვეყანაზე მაღლიანი ვინმე აღარ მოიპოვებო-
დეს?.. ეგება ჩემი შეილი აბრკოლებდეს დღეს იმის
ბედსაც და მე რომ აღარ ვიქნე, მაშინ გამოჩნდეს ვინმე
და შეიბრალოს... დიახ, ჩემი ბრალია!.. მაშინ-კი უპა-

ტრონებენ... სიკვდილი! სიკვდილი-ღა ერთად-ერთი ხსნა.
(მიიჭრება კრაოტთან დაიჩრქებს შვილის წინ და ფეხთან თავს დაადებს)

გამოსვლა გეოთხე

ისინივე, ნენე და დათიკო შემოდიან.

ნენე

ის ორი ოთახი ხომ მოგეწონათ, ესეც მესამე იქნება... დღეს თუ ხვალ დავაცლევინებ.

დათიკო

რა შვილია! ეს განა ოთახია?

ნენე

რატომ არა, შვილო, შპალიერი აიკვრის, პ.ოლი
გაიწმინდება, მებელი დაიღმის და სულ სხვა იქნება
მაშინ.

ქეთო (თავს აიღებს)

ეს ხმა!.. (მოიხედავს) დათიკო! (წამოდგება).

დათიკო (შემკრთალი)

ქეთო!.. შენა ხარ?

ქეთო

საიდგან?..

დათიკო

რა დაგმართნია? ეს რა ანბანია? შენ აქა ცხოვრობ,
ამ ოთახში? როგორ აგიტანია?

ქეთო

მე კი ავიტანე, მაგრამ ჰატარა კი მიკვდება.

დათიკო

შვილი?

ქეთო

დიახ, მისთვის არც წამალია და არც ექიმი.

დათიკო

ნუ გეშინიაინ... ყველაფერი იქნება... დაჯმ, გული
მოიბრუნე. აწ ღმერთი მოწყალეა. (დასვამს სკამზე)

ბუმაუნიქს იღებს იქიდან ქაღალდს იღებს, და სწერს) დედი! არ
შეიძლება ეს ვისმეს გაატანოთ, რომ საავალმყოფოში
მიიტანოს? აქვეა ახლოს.

ნენე

აბა, შვილო, ვინა მყავს?!

დათვეო

ვინც იქნება, აი ეს ერთი მანათი მიეცი და მიი-
ტანს... (აძლევს).

ნენე

ვის ვიცნობ... არა შვილო! რა გაეწყობა, ისევ მე
წავალ... ქრისტიანობაა..: განა ურჯულობა, გაჭირვე-
ბულს უნდა დავეხმაროთ. (მადის).

ქეთო

რამ მოგიყვანა?

დათვეო

შემთხვევამ: ეს ორი დღეა. რაც დავბრუნდი და
ოთახებს ვეძებ საქირაოთ.

ქეთო

სჩანს კიდევ არ განუწირავარ ბედს!.. თუ შენ არ
მოსულიყავ...

დათვეო (აწყვეტილებს სიტყვას)

რა მოგსვლია... მანგრე უპატრონოთ... როგორ
ვერავის შეატყობინე.

ქეთო

რა მექნა... ყველა გამშობა.. შენ იმერეთში მე-
გულებოდი, ნიკო სოფელში წასულა და არჩილ კი
ციხეშია... ისიც კიდევ ჩემის მიზეზით.

დათვეო

აღარა! რამდენი ხანია რაც გამოუშვეს... მოწმებმა
ჩვენება დააბნეეს და გამომძიებელმა მოსასპობლად გადას-
ტა საქმე.

ქეთო
გმადლობ, ღმერთო!

დათიკო
იმასთან გავგზავნე...

არჩილის ხმა

აქ შეიძლება ცხვირ-პირი დაიმტვრიოს კაცმა.
ნენეს ხმა

არა, შვილო, აქეთ წამოდი, აქეთ, მე მომყევ.

გამოსვლა მიხუთმ.

ისინივე, არჩილ და ნენე შემოდიან.

არჩილ

ქეთო! ეს რა ანბავია? სად დამდგარხარ? (დელს
ართმევს). ავათა ხარ?

ქეთო

არა, მე კი კარგადა ვარ მაგრამ ..

არჩილ

მაშ ვინაა. ავათ?

დათიკო

პატარა ჰყავს შეწუხებული.

არჩილ

აბა სად არის?

ქეთო

იი; იქა სძინავს. დილას აქეთ თვალი არ გაუხე-
ლია.

არჩილ

ვნახოთ, (მიდის და სინჯამს) ჰმ...

ქეთო

რას ატყობ?

არჩილ

ფეხები გაცივებული აქს... დედი, არ შეიძლება
ცოტა ქატო გააცხელოთ პარკით?

ნენე

სადა მაქვს, შვილო, ქატო?

არჩეთ

არც აგური? ის მაინც გააცხელეთ.

ნენე

მაგას კი ვიშოვი.

არჩეთ

შენ წალი, ქეთო, უფრო მალე იქნება... სალფეთ-ჭში გამოხვიე და გამოიტანე. (ქეთო მიდის ნენეც თან გა-ჰყვება)

დათვე

რას ატყობ? როგორ არის?

არჩეთ

რაღა როგორ არის? წელ-ქვეით კიდეც გაცივებუ-ლა. სულთა მბრძოლი დედას მძინარე ჰელონებია... აპა კიდეც სრულდება.

ქეთო (შემოაქვს აგური)

მზათ არის.

არჩეთ

საჭირო აღარ არის.

ქეთო (უჩერდება)

როგორ?

დათვე

მიიცვალა.

ქეთო

უი! (გააგდებს აგურს, მივარდება და სინჯავს) შვილო, შვილო! მე მოგკალი ჩემის ხელით!.. (ტირის)

დათვე

ქეთო! (უნდა ხელი მოჰკიდოს).

არჩილ

დე იტიროს, თორემ უფრო ცუდია. (ამ დროს ზემო
სართულიდან მუშიკის ხმა მოისმის. შეკრთხებიან).

არჩილ

ოჰ, რა დროსია!?

დათვა

ეს ქალი რათ გაჩუმდა, გულს ხომ არ შემოეყარა?
ნახე!...

ქეთო (თავს აიღებს ნელ-ნელა და ყურს
უგდებს)

ჩუ! გესმისთ.. იქ, იქ მართა და მისი ქმარი. წვე-
ულება აქვსთ... ლხინი... (წამოდგება) ყველანი იქ მიდიან...
ულოცავენ, თქვენ აქ რათ მოსულხართ? უთუოდ გზა
დაგბნევიათ... კარები შეგშლიათ. აქ სიღარიბეა, ჭირი
და უბედურება... იქ... იქ კი სიმდიდრე... ლხინი და
ბედ...ნი...ე...რე...ბა...ხა! ხა! ხა! ხა! ხა! ხა! (დათვა
და არჩილი იჭერენ).

ფ ა რ დ პ

მტერსა, მოუგრულათ მოსულსა,
ვერიდოთ, ეარღის მფენარსა!...
მუეფავი ძაღლი სჯობია
მიმართავს; ჩუმათ მცბენარსა.

ფარისეველი სხვის მცნებას
და თვისსა აღსარებასა,
სარჩულათ უდებს იდუმალ
იუდას ამბორებასა.

ვაი ძას, გისაც მაცდური
წმინდა მფარეველი ჰკონია
და „საბზელ-ქარის“ ანდაზა
აროდეს გაუკონია!...

შორიდვან ამონაბერი
საბზელს მიადგა ქარიო,
ძეზუზუნებდა მოუგრულათ,
ჩქარა გამილე ქარიო!

,,სხვაგან და სხვაგან ნახეტი,
ბზე მინდა შემოვუაროვო,
რომ მეგობრული კავშირი
ჩვენ მორის დავამუაროვო!“

საბზელმა უთხრა: „მომშორდი,
არა მინდა რა შენიო!...
ვიცი, რაც შევილი ბძანდები
და ან რათ მოგაქვს მღვენიო:“

,,სხვა გზა არა გაქვს მოხვილე
და დამიბერო სსეა მხრითო!
მუჭა ბზეს მიტომ შემოჰური,
რომ გაიტანო გოდრითო!“

ს უ გ უ ლ ი ს ხ მ თ

მესამოცე წლებში ოომ რუსეთიდან დავბრუნდით, ნიგილისტობის საფუარი ცოტა-ოდნათ ჩვენც მოდებული გვქონდა და მიტომაც ვერ დავითხლოვთ ხალხი, ისე მალე, ოოგორც ჩვენ გვეგონა. სარწმუნოებრივი ფანატიკოსობა დიდათ ემჩნეოდა ჩვენს ხალხს. ერთმა ჩვენთაგანმა, სადღაც შორს, მიყრუებულ ადგილას, ონში, ურიის სახლში ქათამი მიირთვა დიდამარხვაში და ამ უჩვეულო მოვლენამ, მარხვის გატეხამ, აალაპარაკა ქვეყანა. ყბათ აიღეს საერთოდ სტუდენტობა და ჰკიცხვიდენ. მაშინ საზოგადოთ სტუდენტათ თვლიდენ, ვინც უნდა ყოფილიყო, თუ კი რუსეთი ჰქონდა გავლილი. მას აქეთ ჯერ კიდევ არ გაუვლია ნახევარ საუკუნეს და რასა ვხედავთ დღეს ჩვენში? უკიდურესს გულ-გრილოჭბას სარწმუნოებისადმი: მარხვას აღარავინ ინახავს, საყდარში აღარავინ დადის, სისხლ-ხორცობა აღარავისა სწამს და ფიცის გატეხა ჩვეულებრივი შეიქნა. სარწმუნოების დაკარგვა და რჯულის გატეხა ხალხის ხრწნილებისა, დაცემისა და ამოფხვრის. ნიშანია საზოგადოთ და მიტომაც ბევრჯელ მწარედ დავუფიქრებივართ ამ გარემოებას ჩვენი ქვეყნის შესახებ!. ნუ თუ აქაც აუცილებელი ცხოვრების კანონია: „დაღალვის შემდეგ მოსვენება“? და ქართველობაც მრავალ საუკუნოების განმავლობაში მაპმაღიანებთან ბრძოლაში, დაქანცული დღეს რუსეთის მუხლზე ისვენებს, კალთაში მინდობით თავჩადებული, ოომ გამოიძინოს ძალი მოცკრიბოს და ისევ

ისე მხნედ და ლონიერად აღიღოს ჯვარი, რომ შეუდგეს მოძღვარს? ეს აზრი თავის თავათ კეშმარიტებაა, მაგრამ ყოფილა ამას გარდა ბევრი სხვაც რამე, რომელიც სარწმუნოებაზე გულს უკრუებს ხალხს და ზნეობას უფორხებს: ქუთაისში სულ რვა ეკლესია, შვიდ მათგანში მდაბალი ხალხი თითქმის სულ არ დადის, მაშინ როდესაც მერვე, მთავარ-ანგელოზის ეკლესია, არა თუ უქმე-დღესასწაულებში, უბრალო დღეებშიაც მლოცველებით იტენება. თვით საყდარში რომ აღარ არის ტევა, გარეთ გალავანიც კი ივსება ძლიერს, გაჭირვებით როგორც იქნა შევატანე ეკლესიაში. საყდარი ისე იყო გაჭელილი, რომ ძირს ნემსი არ დავარდებოდა. საოცარი სიჩუმე იყო ჩამოვარდნილი. მლოცველები ყურადღებად გადაქცეულიყვენ, წირვა ქართულად იყო და კითხვა-გალობის კილოც ქართული. ის კილო, რომელიც 15 საუკუნის განმავლობაში შეესისხლ-ხორცა ქართველ ბუნებას და გულის სილრმემდი სწვდება მსმენელს, რომ სასოება გამოიწვიოს. მწირველი იყო ერთი მოხუცებული მლვდელი, რომლის მშვიდობიანი და ნათელი სახე პირველ საუკუნოების მოძღვრებს მოაგონებდა კაცს. წირვა რომ გამოვიდა მლვდელმა იქადაგა, მაგრამ ის ქადაგება ჩვეულებრივი გადაჭიმული ქადაგება კი არ იყო, უფრო მამაშვილური ტკბილი საუბარი!.. მოხუცი მიუთითებდა ხოლმე ზან ერთსა ზან მეორე, რომელიმე წმინდათაგანის ხატზე და მოუკეთებოდა მრევლს მათ ცხოვრებაზე საუბარს და სამაგალითოდ უჯებდა მათაც. უნდა გენახათ, რა სასოებითა და სიამოვნებით უგდებდენ ყურს!.. ნა-სიამოვნები გამოვედი ეკკლესიილგან; გალავანში შემზღდა ერთი ჩემი ნაცნობი მოხუცი სოფლელი და ჩვეულებრივის მოკითხვის შემდეგ შითხრა:

— თქვენც მობძანებულხართ?!

— როგორც ხედავთ! — ვუპასუხე მეც.

— მე კი ყოველ წლობით ჩვენი სოფლიდგინ აქ ჩამოვდივარ ხოლმე, თვითო-ოროლი კვირობით, რომ მამა გიგაურს გავენდო ხოლმე და აქვე ვეზიარო.

— იქ რა გიშლისთ?.. მღვდელი არ გყავსთ?

— გვყავს, მაგრამ ვაი იმისთანა ყოლის!. ახალი მოდის მოძღვარია და რაღა დროს ჩემი ძველებურის გადაჩვევაა?

— როგორ?

— მართალია ხანდახან ქართულათაც სწირიავს ხოლმე, მაგრამ რაღა ის ქართული და რაღა ფრანგული. კითხვა კითხვას არა ჰვავს და გალობა გალობას. ლვთის მსახური გინდ მეცნიერიც იყოს, თუ კი ჩემი გულის დასამშვიდებელსა და სმენის დასატკბობს ვერას გამავრენებს და სომხურ ან ბერძნულ კილოზე გაივლის, რომელიც ჩემი ბუნების უცხოა, რაღას მაგრძნობინებს?.. ზირ-იქით არ გამიგრილებს სარწმუნეობას? აქ კი, ამ მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში, სულ სხვა არის... აქ ისევ ისე ძველებურად ქართულად და ქართულ გემოზე სრულდება ლვთის მსახურება და ხალხიც მიტომ ეტანება!..

— ვინ გირჩია, რომ სოფლიდან, იმ სიშორიდან აქ მოდიხარ?

— არავინ, ეს გიგაური ამ ოცდა-ათი წლის წინეთ ჩვენში მსახურებდა. ჭალა-ტყეში იყო მღვდლით დანიშნული. პირველ ხანებში არც მაგას უფარგოდა კილო და გვეჩოთირებოდა მაგის ყურის გდება, მაგრამ ბოლოს კი თვითონვე გაისწორა თავისი ნაკლი და ისე დაიწყო წირვა-ლოცვა, როგორც მონასტრებში აღზრდილი ჩვენი ძეელი მღვდლები ასრულებდნენ და მით ისე შეაყვარა თავი მრევლს, რომ სულს ერჩიათ!.. თვა-

ლში რომ ჩავარდნოდათ, ხელს არ მოისვამდენ. უმაგი-
სოდ ბიჯსაც არა დგამდენ... მაგას ეკითხებოდენ და
უჯერებდენ. სანამდი ეგ ლეთისაგან კურთხეული ჩვენ-
თან იყო, მისთანა მშვიდობა და თანხმობა იყო ჩავარდ-
ნილი ჩვენში, რომ სასამართლოებში საჩივარი აღარავი-
ზე შედიოდა. ეს არ მოეწონათ ადგილობრივ აბლაკა-
ტებს, იმ ხალხისა და ქვეყნის ფეხის მომჭმელებს, რო-
მელხიც ქეყანას ატყაყებენ. იფიქრეს, სანამ ეს მღვდე-
ლი აქ იქნება, ხალხი ჩვენსას აღარას დაიჯერებს და
ულუკმაპუროდ დავრჩებითო. გაგზავნეს „დანოსი“ ეპი-
სკოპოსთან „ეს გიგაური ისე ვერ იქცევა, როგორც შე-
ფერის სამღვდელო პირსო: ჩაუჯდება გლეხებს შუაში
და მასთან ერთად ლხინობსო!“. ეს ყველა მართალი იყო,
მაგრამ თუ ასე არ მოქცეულიყო, სახელ გარდა, მღვდე-
ლი ვერც ხალხის გულს მოიგებდა და დამჯერეც არა-
ვინ ეყოლებოდა! აბა, ზოგი ახლა ნახეთ რა ამბებია?!.
ისე დღესასწაული და ლხინი არ ჩაივლის ჩვენში, რომ
ჩხუბი არ მოხდეს და ვინმე ან არ მოკლან და ან არ
დაჭრან. ამიტომ, რომ შემგონებელი აღარავინ ჰყავდათ...
გიგაურის დროს ლხინიც იყო, სიხარულიკა და მშვი-
დობაც. ეს გაიგო ნეტარ-ხსენებულმა გაბრიელ ეპისკო-
სმა და „დანოსს“. ყურადღებაც არ მიაქცია. პირ იქით
კიდეც დაუმადლა ახალგაზდა მღვდელს: „კარგად იქცე-
ვიო!“ ეს რომ გაიგეს მაბეზლრებმა, სხვა რომ ველარა
მოახერხეს რა, გადასწვეს ჩუმათ მამა გიგაური და კინა-
ლამ ცოლშვილიანათ გამობუგეს. ისიც იძულებული შე-
იქნა ქუთაისში გადასულიყო და მასუკან აქ არის!... სა-
კვირველი არ არის, რომ კურსოვნიკია და ნამდვილ ჩვენ
ძველებურ ქართველ მღვდლებს კი მოგვაგონებს!

— განა დიდი განსხვავებაა მათ შორის?

— როგორ არ არის! მაშინდელი ღვდლები მონასტრებში იყვნენ გამოზღიული, ბევრის ატანა შეეძლოთ. ცოტას ჯერდებოდნენ და მრევლს მათგამო შეწუხებაც არ ადგა. ახლანდელი დრო სულ სხვა არის!. მოთხოვნილება მეტია!. დიდი ხარჯი აწვება სოფელს და ველარ უძლებს, ყოლითერში უზომო სასყიდელი უნდა გადაიხადო. დაღარიბებული გლეხები ველარც ქორშილს ახერხებენ, ველარც ნათვლას, ველარც ზიარებას და ველარც მკვდრის დამარხვას. მიტომაც ჩვენში ბევრგან უგვირგვინოთ ცხოვრობენ ცოლ-ქმარი. შვილები უნათლავი და უზიარებელი უკვდებათ, ბევრჯელ ოჯახი უკურთხებელი და გაუნათლავი ურჩებათ ხოლმე. და რაღა სიყვარული და ნდობა ექნებათ მღვდელის!.. ძველათ კი, ამ კანონიერი მცარცველობის, მაგალითაც არსად ყოფილა.. რაღა ბევრი ვაგძელო, თაფლის სანთელი რომ მიიტანოს მრევლმა, არ მიიღებს მღვდელი: გინდა თუ არა ქარხნიდან იყიდე თეთრი სანთელი, ასე არის ბრძანებაო!.. კუთილი და პატიოსანი, მაგრამ სად არის შეძლება?.. მეტი საშუალება რომ აღარ ექმნება საწყალ-კაცს, უნდა უკულმართ გზას დაადგეს და ფული უნდა იშოვნოს. იმდენი სიცოცხლე თქვენ მოგეცესთ, რამდენი ძალიან კარგი მუშა გაჭირვებული, იძულებული იყოს, რომ გაჭირვების გამო სიცუდაკაცე ჩაიდინოს და იკარგებოდეს. სამღვდელოებას ბევრი შეუძლია, რომ *მოინდომებდეს. მართალია, აქა-იქ არიან თვითო-ოროლა კარგი მღვდლები ჩვენში, მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყენსო. აბა, ბევრი გვეყოლოს დეკანოზ ღამბაშიძისა და გიგაურის მსგავსი მოძღვრები ჩვენში და მაშინ ნახავთ თუ რა გზას დაადგეს ჩვენი ხა-

ლხი. ღმერთიც ეცოდინებათ და რჯულიცო. ამ გვარი
რამ ბევრი მითხრა ჩემმა ნაცნობმა და მე არ შემეძლო,
რომ არ დავთანხმებოდი!. ხან-და-ხან მცირე რამესაც
დიდი ვნება მოაქვს ქვეყნისათვის.

ଟାମାଳ-ପ୍ରବୃତ୍ତି.

ଇନ୍‌ଦ୍ରିୟ-କ୍ଷେତ୍ର-ଶକ୍ତି-ପ୍ରକାଶକୁ

ଅନୁଭବ-ପାଠୀ ୩୩୫୫

მომქმედნი პირნი:

გიორგი გურიელი, იმერეთის შეფე.
თამარ დედოფალი, შისი მეუღლე.
მსაჯულთ-უხუცესი.
ნაკაშიძე, სახლთ-უხუცესი.
გოჩა, შგრსანი.

შიკრიკი.

მასხარა.

ცირა, მთახლე.

ნიკო, გურული.

1 { მობურთალნი.
2

შობურთალები და კარის-კაცები.

შოქმელება პირველი.

სცენა პირველი.

საბურთაო მოედანი. წინ დიდი ჭანდრის ხე ქვის ტახტით.
იქვე მახლობლად, ბიონის პირად, ოქროს ჩარდახის ცალი გვერდი
მოჩანს. ხმაურობაა.

ხმა სცენის გარედამ.

გავარდა ბურთი!.. მარჯვეთ, ბიჭებო!
ადარ გაუშვაო მეორედ იქით!!
ზო, ზო, ზო, ზო! ცხენოსანს ერგო!
ვისაც მუხლს კერჩისთ გამოუდექით!
შენი ჭირიმე, შენი, გურულო!
ვეოცხვია!.. დასწვდა... ცხენზე შეუხტა!
ოჟ, გადმოაგდო!.. ბრაწი ცხენოსანს!
ეუოს სირცხვილად! ხერხი წაუხდა!..
გავარდეს ბურთი, ხუ გააჩერებთ!
არ ვარგა ჯგლითი რისთვის ღამიალეთ!
სუსველა ერთად ხუ მიაწედებით...
ნიკო მიუშვით! მაგას აცალეთ!

გამოსვლა პირველი.

(ორი მობურთალი, დაქანცულ-დაკარწახებულები).

პირველი მობურთალი.

უჟ, დედა-ჩემთ! თავს რისთვის ვიჭლავთ?
რომ აღარ არის ძალი და დონე...

მეორე მობურთალი.

რა გაეწყობა, მეფე-დედოფალს
ნაძლევი აქვსთო, ხომ გაიგონე?

პირველი მობურთალი.

მეფე მხარს იჭერს გურულებისას!

მეორე მობურთალი.

დედოფალი კი ჩვენს ქენ არით...
მიტომ გახურდა ეს ბურთალი,
თითქოს ირუევა მთა და ბარით.

პირველი მობურთალი.

უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენ მეტი არ ვიუთ,
დაგვამარცხებდენ დღეს გურულები:
ხელ-ფეხსაც ერჩისთ, თვალ-უურიც უტრისთ
და ისე ხლორიან, როგორც რომ შვლები.

გამოსვლა მეორე.

ისინივე და მასხარა.

მასხარა.

ეჭე! ბიჭებო, აქ რას უზისართ?

პირველი.

დადალული გართ! მოსგენება გვსუნს!

მასხარა:

გურდღელს რო ძაღლი ჩამოურნება,
აღარები აჭმებს მაშინ იმ ძაღლს ჰუნს!..
ბურთვის ძაღლები! თქვენი კურდღელიც
ის ბურთი არის, იქ მიაშენეთ!..
თუ მოედანი გურულებს დარჩათ,
რა მოგივიდესთ აბა უკურეთ:
გერ გადურნებით მაშინ დედოფალს·
გეღარც ცოცხალი და გეღარც მეჭდარი:
მეორე.

წეენ გურულები გერ გვაჯობებენ,
ადიდოს ღმერთმა ისევ თამარი! (ადგებიან და მიდიან).
ხმა.

წავიდა ბურთი! გაშა გურული!
ნუ გაუშებთ, ნუ! დაუხვდით ვინმე!
პირველი. (დაუხვდება წინ).

დააგდე ბურთი! გეღარ წამიხვალ!
დამრჩი, გურული, აქ გახლავარ მე!.. (გურული ფეხს გამო-
ჰკრავს, დასცემს, თავზედ გადაახტება და გააქვს ბურთი, სხვები უკან
მისღევენ).

მასხარა (თვალს გააყოლებს მოთამაშეებს, მე-
რე მობრუნდება და დაცინით).

მიმინისა წუერი უეფანს,
შევარდენს ნადართბა!
ბურთაობა დედოფალს
და შეფეხ-კი სხვა გმირობა.

დედოფალიც ბურთი არის:
გვეჯას სელში უვარდება;

სან გააქვსთ და სან გამოაქვსთ,
მაგრამ არვის უჩერდება.

ერთი მხოლოდ გთხა არის,
როგორც ვატყობ მისი ლელო;
მისთვის დასცლის ტრიუმბის ფიალი,
მისთვის უნდა სადღეგრძელო.

შაგრამ თურმე სხევა უოფილა
სასიათი მგოსნებისა;
უურ-მოჭრილი უმა უოფილან
უნამუოფილო აცნებისა.

გამოსვლა მესამე.

ისვე და სახლო-უხუცესი.

სახლო-უხუცესი
თქ, შენ აქა ხარ?

მასხარა.

არა, პატონ!

აქ არ გახლავარ! მიგულებდეთ შორს!..
სახლო-უხუცესი.

გიცი, რომ სული ჯოჯოხეთშია,
შაგრამ აქ ვზედავ შენს მასხარა შძორს.
მასხარა.

ჯოჯოხეთისგენ ის იუურება,
გისაც რომ უჭრის ეშმაგზე თვალი
და შეუძლიან, რომ გაარჩიოს:
„ეშმაგისაა, თუ ჯორის გვალი?“
სახლო-უხუცესი.

ისე ახსენებ მაგ ეშმაკის კვალს,
თვითქოს გინდოდეს, რომ შეუდგე მას?

მასხარა.

დიაღ, ამ ქვეუნის ქუდი რო მხურავს,
შეც უნდა ავუვე საზოგადო ხმას,
თორემ, თქვენც იცით, მკლასის არ იუთს,
ვინც ქვეუანაში გამოერჩევა,
აითვალწუნებს უმრავლესობა,
და პურთხევის წილ ეძღვევა წევევა.

სახლო-უხუცესი (ამონვრით)

აჸ, ჩემთ ძმათ! გვიანდა არის
ჩევნთვის მაგ ჭყუის გამოკიდება!
მოხუცი აქ რთმ ჩონგურს ისწავლის,
ის საიქის გამოადგება.
ჩვენ ჩვენი შური მოგვიწამია!
როგორც გვიწირავს ისევე ვწირთ:
შირზე ღიმილი ნე მოგვშორდება,
მაგრამ იმავ დროს გულში ვიტირთ,
რთმ მოვითხოთ გულის ტბილი,
ქვეუნის დაცემათ გამოწევული,
და თან ვიკლოვოთ მევე გიორგი
სულ სხვა ქცევის და საქმის ჩვეული. (სიჩუმეა)
ნეტავი შენ, რთმ, როგორც მასხარას,
რაც რთმ გულში გაქვს, გათქმევინებენ!

მასხარა.

და ნაცვლად უგელა შედიდგულება
სან დამცინინ, სან მაგინებენ!...
მწარე ლუქმაა, ხემარას ლუქმა!
სანადველ-ცრემლო ჩვენი ხელობა
უგელას ჭვრია და ეგონება
ჭკუის სიმცარე და სულელობა.

სახლთ-უხუცესი.

კა, მაგრამ ოთვა თქვენი ხუმრობა
იქ გასჭრის, სადაც სხვა ვერას ჰედავს,
თავ-მოუვარება რას გეებნებათ?
და თქვენი ჭიშა მაშინ რას ხედავს?
მასხარა.

თუ, ვერ დავფიტავ! მგ წამი არის
გვირგვინი ჩვენის თავ-მოუვარების,
დამავიწეარ გადასულ-ტანჯვის,
ქვა ოთხ-კუთხედი ტკბილ-ნეტარების.
სახლთ-უხუცესი.

მაშ ნეტავი თქვენ! და ჩვენ რაღა გქნათ
სასახლის კარზე, დარბაისლებმა?
ერთი მეორის წახედვით უნდა
ისე ვიზუგვლოთ ვით მიგლებში მიგლებმა,
გრძნობა და ძრახვა უსიმტევოდ გულში
უნდა ჩავიყლათ და ჩავიმართოთ!
უმანეთებას ცილი შევსწამოთ
და საქები რამ ურცხვად დავსძრახოთ!
ეს მხდალი კრძალვა და მორიდება
სასახლეების უვეღვან წესია
და სათვალთმაქცე ეს ცრუ კანონი
დორთ-მტარვალობას დაუთვესია!
მე გამიზრდა შეფე გიორგი
მე ვიზავ მისი ერთგული დალა,
მაგრამ პირდაპირ, რომ ვამსილო რამ
არ მაქეს უფლება!.. არა მაქეს ძალა!!
მაშინ როდესაც იქ ქართლ-კახეთია
ბურთივით გააქეს სასტუკ შაჟ-აბაზის,
ბატონი მეფე ცოლის ამეოლი,

თვალ-გულს აუთლებს აქ ბურთათბას.
 და იმერეთა, ეს ქაფთა მხარე,
 როს გარევნილების მორევში სცურავს,
 შევე გიორგი კი ლხინს ეძლევა
 და თავი მოსწონს!.. ზედ ქუდიც ხურავს!
 რამ დაემართა, ნეტავ ვიცოდე?
 რამ შეუცვალა მამაცი გული?
 მასხარა.

შე ამას ვთვიქრობ, რომ ჯადო მისცეს...
 დედოფლისაგან არს მოხიბლული!
 შაგრამ გოჩა კი ასე მოტკიცებს:
 სულ ტევილია ჯადო-ქარი!
 ცოლს შეუძლია, თუ ლამაზია,
 ისეც მოხიბლოს სუსტი ქმარის
 სახლო-უხუცესი.

შაგას შეც ვთვიქრობ და სახამ თამარს.
 დარიჯანის დღეს არ დაგაუენებთ,
 არ დაბრუნდება წალმა ბორბალი,
 გერც გაფიხარებთ, ვერც მოგისვენებთ.
 მასხარა.

სუ! ვიღაც მოდის.

შიკრიკი (სახლო-უხუცესი).

შევე გიბრძანებსთ.

სახლო-უხუცესი.

განა გათავდა თამაში ბურთვის?

შიკრიკი.

დიაღ, ბატონი, და გამარჯვებაც
 იმურლებს დარჩა, როგორც უოველოვის.

სახლო-უხუცესი.

ასზე ათასი რომ მდიუვანთ,

გაიმარჯვებენ, რადა თქმა უნდა!
თუ გურულებიც თქვენდენი იუოს,
დაგეურებდათ თავს ქვა და გუნდა!.. (მასხარას)
შენ აქ დარჩები?

მასხარა.

მაშ სად წავიდე?

ბარემ დაღამდეს და შერე წავალ.

სახლოთ-უხუცესი.

გოჩა თუ ნახო, ასე უთხარი,
რომ შემოვიდეს ჩემთან ჩუმალ ხვალ.. (გადის)
მასხარა.

მიკვირს, რომ მეზემ ეს ნაკაშიძეც.

ცოლის ბრძანებით არ მოიშორა!..

ნუ-თუ თამარმა, შორს გამჭერეტელმა,

ჯერ ორგულისა ვერ შეატუო-რა?

მაგრამ ჯერ ან-კი რა საჩქაროა,

სომ შეიტუობენ როცა იქნება...

მაგრამ თუ დაგვრჩა ჩვენ გამარჯვება,

და, რასაც ვფიქრობთ, დმიტრიმა ინება...

ჟმ, მარა, არა! გული თუ გატუდა,

შესაძლებელიც ადარა სჯერა!..

ეჭ, ცდა ხომ ბედის მონახევრეა?

ერთიც გსცადოთ ჩვენ ბედისა წერა. (გადის)

გამოსვლა მოოთხე.

მგოსანი (გამოდის ფიქრით მოცული
და რაღაცას კითხულობს.)

„შე გარდი ვარ, ვარდი, გულ-სხივთსანი,

მსურს ბულბული მოჰყიდვისე, მგოსანი,

გრძნობით, ჭიბუით, სულით პატითსანი,

შეტს რას ეტევის იმას მანდილოსახი?
მე ია ვარ, ია ნაზად დახრილი,
მენატრება იაღონი ხმა-ტებილი,
უოვლად სრული. ბუნებით შემქობილი
მეტს რას ჰეკადრებს სორციელად შობილი?
ზამბარი ვარ, საწალეოტო, სუნელი!
ის შებადე უცხო ცეცხლის ამგზნელი;
მე სნუელი — ის მკურნალი დამსხენელი!
მეტს რას იგრძნობს მოტრფიალე მზე ბნელი!
ტრფობის წიგნში ვინც ჩამწერა... მისია.
ვინც სევდების გულში ჯარი მისია,
მისი ვარდი, თაიგული მის ია
არ ერგება სხვას... მისი და მისია!“
კიდევ ლექსები! რას ამტეხია?
შიკვირს, ჩემთვისაც რომ მოუცდება...
მაგრამ, ეტება, ტრფობის ფიალა
ჭერ კიდევ სრულად არ დაუცდება.
ქალი ვერ იტანს გაცისგან უარს,
მით უფრო, როცა თავ-მომწონეა;
თავ-მოუგარებით გატაცებულსა,
უბრალო ჟინი ტრფობა ჭირნია!
სუთჭერ გათხოვილს ქმრის სიცოცხლეში
საუფარლად სხვებიც ვინ არ ჰეთლია?
წმინდა მოძღვარიც მის უწმინდურ გვამს
საჭოჭოხეთოდ გადაჭირდა.
სანიც ვერ უძლავს ბიწიერ სურვილს;
რაც დრო გამოდის, უფრო მხურვალებს!
და მაგდანინელურ სიამოვნებას
დღეს მთელი ქვეუნის ბედს ანაცვალებს! (და-
ფიქრდება.)

ეჭ! დარიჯანის გაზრდილ-გაწრთვნილი
უნდა მის კვალსვე გამოუენოთ,
რომ დაცემული ჩვენი ქვეყანა
ეგებ შით მაინც წამოგაუენოთ.
მაკრამ სიფრთხილე გვმართებს სხვა გვარი
სახლო-უცცესის არ მაქვს იმედი:
იქ შეთქმულობა ნაუღოს ვერ მისცემს,
სადაც არიან ორ-სამზე მეტი.
არა! დღეს სწორედ უნდა გადაწყდეს
ჩვენი იმედი და ბედის წერა! (გაიხედავს)
ჩემი ნათლულიც აგერა, მოდის,
მიმართობლებს კარგ რასმეს, მჭერა.

გამოსვლა მესუთი

ისვე და ცირა.

მგოსანი.

ჩემთ ნათლულო და შვილობალი,
სანდოვ გულისა, ჟეკიანო ცირა!
ჩვენი უმანქო ბატონიშვილის
ვერ გაიგე-რა? არა იცი-რა?

ცირა. (თვალ-ცრუმლიანი).

ოჭ, როგორ არა: ჩემი დობილი
და დედი-ჩემის ძუძუთ გაზრდილი,
უდაბნოშია გამომწევდეული,
ვით ცის და ქვეშის შემცოდე შვილი.

იქ იტანჯება და გულის ჰასუხს
ვერ შიზიარებს მე მეგობარი
მაშინ, როდესაც დედა მისსა ჭერითბს
რჯულის გამტები იმისი ქმარი.
რისთვის გასწირეს? რად გაიმეტეს?
ვისთან რა ჟერნდა დანაშაული?
ოჟ, გამწირველი შენი სისხლ-სკრცის.
თამარი! იყავ დეთისგან წუკული!...

მგოსანი.

ჩემო ნათლული! უნაფოთა
შენი ტირილი და ეგ გოდება!...
იმას რას არგებს აქ რო ვიგლოვოთ?
დღეს, თუ ხვალ, ვიცი, ის იქ მოკვდება:
ცირა (წეპიკვლებს)
როგორ, მოკვდება?! მაგას რას ამბობ?
გადინმეს ენა, დეთისგან წუკული!...

მგოსანი.

მოკვდენ და მოკვდაც ისე ჩაივლის,
როგორც სიზმარი რამ უჩვეული.
ეჟ, ჩემთ შეიძლო! ვერ შენ რა იცი
ამ წერი შეეუნის გამოცანები!
უსამართლობას რამდენი შერჩა,
ვინ მჲსთველის, მსხვერპლი მაგისთანები.

ცირა.

შეიტვე რაშე?

მგოსანი.

არა!... ეს ვიცი,
რომ დედოფალი ვერ გაიხარებს,

სანამ არ შოჟელავს და გენათელიც,
ვით მეტობარი, ხელს დააფარებს.

ცირა.

ნუ თუ გამოხსნა არ შეიძლება?.

არა არის-რა საშეალობა?

უნდა დამიწდეს ასე უდროვოდ

ჩემი თალიკოს ემაწვილ-ქალობა?

არა, მგრისანო, არა, არ მჯერა!...

მაშინ ქვეუანაც რა იქნებოდა;

და თვით სამოთხე, ნათელ მიხდილი,

ჭოჭოხეთივით აეგზნებოდა!...

ექნება რამე მაგას სახსარი.

უნდა მოვსძებონთ!... უნდა ვიპოვოთ!!

ზეცას შევსტიაროთ, ქვესგნელს ჩავჭერნესთ

გუშარათ ქვეუანას და ღმერთსა ვსთხოვოთ!...

მგოსანი.

ერთად-ერთიღა საშეალობა

ჩვენ დაგვიჩენია... მაგრამ ჯერ მითხარ:

იმას რომ შენი თავი შესწირო,

არ დაინანებ... ამაზედ მზათ ხარ?

ცირა.

მაგას რას ამბობ, თვითონ არ იცი

განა, რა არის მეგრელი ქალი?

რაღა გააქობს, თუ რომ მის გულში

ერთხელვე გაჩნდა ნამდვილი ალი.

გულს-შენახოდი სულზე ტებილია!

ის დედი ჩემის ძუძუა კაზრდილი,

იმისთვის ტანჯვა — სიხარულია!.....
შევდღეთით აღდგომა — მისთვის სიკვდილი.

მგოსანი.

რა საჭიროა შენი სიკვდილი?
ქმარა თუ მოკლავთ თამარ დედოფალს!
მით გამოვიხსნით მაშინ თალიკოს
და თანც მოვისხამთ მთელის ქვეუნის მაღლს.

ცირა.

ქვეუნის მაღლს?!

მგოსანი.

დიაღ! შენა გგონია,
რომ მან გასწირა მარტო თამარი?
თუ არ იმისგან, მაშ ვისგან არის
ჩვენი ქვეუნა დღეს ცოცხალ-მეგდარი?
დიდი ხანია, ლეჩაქის ნაცვლად,
ეშმაკის ქსელი მას თავზედ ხურავს
და იმერეთი, მისგან გარეგნილი,
დღეს ბოროტების მორევში სცურავს!
მეფე, მთავრები და ერისთვები
მან შეახეთქა ერთმანეთს უველა,
რჯულს გადუენა სამღვდელოება
და არსად არის იმისგან შეელა.

ცირა.

ებ განა მარტო ქალის ბრალია?
რად აბედვინებს მაგოდენს ქმარი?

მგოსანი.

რად აბედვინებს? ჭმ, რომ იცოდე
რა ქაცი იუთ ადრე მთავარი!

შენ ნუ გგონია, რომ მას თალივე
არ ჰეყვარებოდეს, მისთვის გაეზიას,
ან სიუვარულით შეერთოს თამარ?
მისი კონება მისდევდა სულ სხვას!
მაგრამ წაუხდა მისი განძრახვა
და ისე არის დღეს მოხიბლული,
რომ აერია წრთვილი ძრახვება
და გაღუბრუნდა უცრიად ტული.
და თუ თამარი აფარ ექოლა
ის ისეგ ძველ გზას დაუბრუნდება!
გამობრუნდება თალივოს ბედი
და ჩვენც ალდგომა გაგვითქნდება.

კირა.

ნეტავ თუ შართლა?

მგოსანი..

განა ეტჭი გაქვს?

მისი დაღუპვა ჩვენ გამოგვიხნის.

კირა (თავისთვის)

თალივოს ვნახავ ისეგ ბედნიერს,
ამისრულდება ნატერა დიდი ხნის! (მგოსან)
მაშ გზა მიჩვენე და მიმასწავლე. (დატიქრდება)
ეჭ! ვიცი!... ვიცი! ახლა მეც მიგხვდი:
მიგეპარები ამაღამ შეინარს.
და ჩემი ხელით მას სულს ამოვხდი.. (ალტალეშით)
ღმერთმა მაგონა! აბა, ნათლიავ!
უნდა მიშოვნო ერთი ხანჯალი!

მგოსანი.

დაწენარდი, შვილო! სუსტისა ქმნილებას
შენ საფაუკაცო ვინ მოგცა ძალი?

ပြန်လည်
မာမ စာဖို့မဲ့သွေ?

မွေးကျင်၏

မျှော် ကေမီ အာ နာက
အငြ မျော်ဝါဘုံ၊ အငြ မိုးအကျော်လွှဲ?
အာဆို သာမျှော်? အာ၊ သံသာ ဂွားအာလွှဲ
ဗိုလ် ရဲ့ စာသိမ္မာ မဲ့နောက်ချော်လွှဲ။
ဝါး အာ ဂျော်ဖွေး: — မျှော် ဗေမီ ဂွားအာရဲ့
ပျော်တဲ့ ဂားနောက်မျော် ပို့အ ဂျော်လွှဲ?
ဒုံး ဇာတ် ဇာတ်လွှဲစ် မိုးတွေး အာမဲ့ အာလွှဲ
အာစံကျော်ပဲ့ ဤ ဗိုလ်မဲ့လွှဲ?
မာကြာမ ဝါ တွော်မျှ မဲ့နော်လွှဲ ဦးကော်လွှဲ ဦးကော်လွှဲ၊ —
ဝါ ဦးကော် အာဝါ မိုးစို သံရွှေ့လွှဲ၊
ဇာ မိုးကွား သံရွှေ့-ဇွဲမျော်လွှဲ မိုးတွေး ဗိုလ်၊
မိုးစို စိုးကြော်လွှဲ၊ မိုးစို စိုးကြော်လွှဲ။
မျှော် အာ သံရွှေ့-ဇွဲလွှဲ? ဒုံး ဝါ ဦးကော်
မျှော် သာက်! — ဦးမောင် အာစာ ဂူးနွှေ့နွှေ့ပဲ့
ဇာမဲ့ ဇာတ်စာဂား ဇာမဲ့ ဇာတ်လွှဲ
နော်လွှဲ ဂူးနွှေ့နွှေ့ ပဲ့နွှေ့နွှေ့လွှဲ။
တွော် မာကြာလွှဲ၊ ကေမီ စိုးကြော်လွှဲ
မျှော် ဦးကော်ပဲ့ ဇာမဲ့ ဇာတ်လွှဲ
မျှော် မျှော်လွှဲ ဝါ အာ ဇာ ဇာ ဇာမဲ့လွှဲ။
မျှော် သံရွှေ့လွှဲ မိုးကြော်လွှဲ။
ဝါ မိုးကွား မျှော် မာကြာလွှဲ
ဇာ တွောင်း ဂူးနွှေ့မဲ့ သံရွှေ့နွှေ့ မိုးကြော်လွှဲ
ဗွော်တွော ဂူးနွှေ့၊ ဗွော်တွော မိုးကြော်လွှဲ။

ပြန် (မျော်တွော)

ဒါ၊ မာကြာမ ဝါ ဗေမီ ဇာဝါးမျော်ပဲ့

და მე ვიქნები მასთან უშიორო!
არა, ისეგ მე... მე დავიღუშო!
მე უნდა ჩემი თავი გავსტიორო!
მგოსანი.

შენ ვერ შეიძლებ, საქმეს წაახდენ!
ის მთახურებს... იმას აფალე.
ჩემად მთეჭალით და, თუ გაიგონ,
მაშინ შენს თავზე გადაიბრალე.

ცირა.

მაგას კი ვიზაძ.

მგოსანი.

სუ, არ აჩქარდე!
სითრთხილე გმართებს მთაზრებული.
უცები არის და კონ-მიხდილი
პატი, უზომთდ ადელვებული.
ჯერ დაიშვილე გული და მერე
ისე გაენდვე იმ შენს სასურველს!

ცირა.

ნედარას ეჭვობ! თალივოს ცრემლი
და მისი მაღლი მომიმართავს ხელს (გარბის).

მგოსანი (მარტო).

ნუ თუ მას, ვინც ეს ჩვენი ქვეყნა
საოცრად გარუნა და დაამიტირა,
შასუს შიავებს სამაგიროდ
ერთი უბრალო მთახლე, ცირა?!

დმერთო ძლიერო, კურთხეულ იუთს
შენი ძალა და შენი განგება!
შენა ხარ ჩვენი გულთა-მხილავი,
შენ გშვენის ქვეუნის ქებათა-ქება!

ფ ა რ დ ა.

ମୁଖ୍ୟମେଳେପା ମେଲାଙ୍ଗ.

(ମଧ୍ୟଦିନରୁଲାଙ୍କ ମେରତ୍ରୁଲି ଡେଫୋଟଲିସ ସାକ୍ଷାତ୍କାର.)

ଶାଶବ୍ଦି ପଠିବାରେ,

ଶାଶବ୍ଦି ପଠିବାରେ,
ଶାଶବ୍ଦି ପଠିବାରେ,

ତାମାରି.

ବିରା!

ବିରା.

ପାତ୍ରକଣ!

ତାମାରି.

କଣ?

ବିରା.

ମିଥ୍ୟାଚିନ୍ତା!

ତାମାରି.

ଏହି କିମ୍ବା କିମ୍ବା, ଏହି କିମ୍ବା-କିମ୍ବା?

ବିରା.

ମେ କାମ କରିବାକୁ, କାମ କରିବାକୁ
କିମ୍ବା କିମ୍ବା, କିମ୍ବା କିମ୍ବା.

ତାମାରି.

କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା?

ବିରା.

କାମକିମ୍ବା କାମକିମ୍ବା,

რადაცა ლექსებს იზეპირებდა
და აღტაცებულ სახეს შევნიშნე,
რომ უჩვეულო რამ აკვირვებდა.

თამარი.

რა ლექსი იყო, უური გერ მოჰკარ?
ცირა.

შეოლოდ თრ სიტეგას: „ვარდისა და იასა.”

თამარი (სიამოვნებით).

კარგი! რო მოვა, შემატეობინე
და წე დასტოვებ განის კარს დიას. (ცირა მიღის)

თამარი. (დილანს დადის ალელუებული,
სარკეს იღებს ხელში, თავის
სახეს ჰყევლუცება. მერე სია-
მოვნების ლიმილით და თავ-
მოწინებით ამბობს).

რეგორც რომ მოვაჯე თხუთმეტის დდისა,
ვეღარ შემძენა სინათლის კიდე,
მისცურავს ცაზე სხივ მომზინარე
ამშარტავნებით კიდითა-კიდე;
ისე შევნებაც ჩემი სრულ-ქმნილი
ერთსა წერტილზე შეჩერებულა,
მაგრამ ჯერ კიდევ მისი დიდება
და სხავთსნობა არ დაკლებულა!
სანიც გერ შესცვლის... არ გამრუდდება
ჩემის შევნების ხაზი... ეს მჯერა
და სიკედილაშვე სარკად შექნება,
თვით ცის და ჭვეუნის გულისა ძგერა...
ტრფობის სურვილით გარშემობურვილს,
თაუგანის-ცემით შმონებს მთავარი!..

შსოფლით კრების დაკანონებულს
აღთქმას ჩემთვის სტესს თვით მდგდელ-შთა-
მხიბლავი ჩემი თრ-გეცი ძალა ჭარი!..
სილულთ აბრმავებს, ბრმას უხელს — თვალებს;
წალმას უკუღმად, უკუღმას წალმად
თითის-ტარივით შეატრიალებს:
შორს გამჭვრეტელსა ბრძენსა გენათელს.
ჩემზედ ძრახვებმა აუბეს თვალი...
დააგმობინეს წმინდა წასრული
და დავიწეს ტებილ-მომსახლი.
მჭევრ-მეტეველებით სახელ-განთქმულსა
ლეგან დადანს, ტებილ-მოუბარსა,
ენა ებმოდა, რომ შემომჭვრეტდა
ვით საოცნებო რამ ზენა-არსეს.
თვით ბაგრატ მეფე, ის უსინათლო,
ისე ჭხედავდა ჩემსა შვენებას,
ვით თვალ-სილული ძილში ჭხედავდეს
დილის რიურაჟსა და გათენებას.
ეს გურიელიც, მოუსვენარი,
სახელ-განთქმული, ვეფხვი, ლომ-გული,
დღეს მოკამათედ ჩემის სურვილის,
ლეჩაქის უურჩე მეავს გამობმული...
მაგრამ მჯოხანი, ის უგვარტომო
ის უხარისხო ვიღაცას შვილი,
ვით უპვდავების წყარო, მიზიდავს
და ვერ მომიღლავს მწეურვალს წეურვილი!..
ის ერთი მხოლოდ... მხოლოდ ის ერთი
ჩემსა სურვილებს უპუ უდგება...
სულ სხვა ჭანგზე უღრის იმისი ჩანგი;
სხვა არის შისი ქებათა-ქება!!

ცოცხალ თაშარის, იმის წინ მდგარის,
თანაგრძნებითა არ იმსწევალება
და იმ თაშარისა გაშენალსა მეგდარის,
წარმოდგენილსა ეტრიდალება!
ჭრ.. არა, მჯერა! ეგებ ცხაერობს:
უველას თვალს უსკევს... თავს ისულელებს.
და იმ თაშარში მხოლოდ ამ თაშარს
აღმა-ფრენათა იხორციელებს?
ნეტავ, თუ მართლა?! მაგრამ რას ვაშბობ?
განა ვერ ვხედავ მის გულ-გრილობას?
გად უცდეს ულად გულის სამზღვრისა,
გონება უწრის მხოლოდ ზღილობას.
და უკრის არ უგდებს ის არც ჩემს თრთოლვას,
არც ამ თვალების ელვარებასა,
და არც მისგანვე ცეცხლ-შეპარებულ
ბრთლას გულ-მკერდის მდელვარებას!
ნაცვლად პასუხის იმის სახეზე,
შე შემინდნავს რაღარც დაშილი,
თვითქოს ჭდებეთს ეწავლებითს
გულის ისარი, სულის სახმილა
ოჲ, თუ შემეძლოს მაშინ მე მისა
ქვეუნად გაქრობა, გაცამტვერება,
არც სულს და არც გულს, არც აქ და არც აჲ
ადარად უნდა სხვა ნეტარება!!
მაგრამ ზოგვერაც იმავ სახეზე
სხვაც ესატება რაღარც დიმილი,
და გულს მიბრუნებს, შეურაცხუთვილს.
გათ სამკურნალო ციური ტებილი.
დაგაარგე ძალა!.. ღღეს მონა-და გარ
ორ-დიმილშეა გამომწევდეული,

თრად იუოფა მთელი არსება
 თრად შეპობა სული და გული!..
 მიუვარს და მძელს, მძელს და მიუვარს,
 მსურს დავიმონთ!.. მსურს დავემონთ!
 სული გადმომცეს, სული გადაჭიცე...
 რომ შევიწონთ და შევეწონთ!

გამოსვლა მეორე.

იგინივე და ცირა.

ცირა.

ტოჩა გიახლათ!

თამარი.

შეატყობინე,

რომ მას ნება აქვს ჩემთან შემთხველის. (ცირა გადის.)
 გნახოთ აშ თამარს თუ იშ თაშანში

ჩემ გვერდით მუოფიც გულ-გრილად გასცველის..

ჩუ! გულმა იგრძნო .. ახლოა... მოდის.

მისი ფეხის ხმა უერს ტკბილად ესმის!

გაქვავდი გულო! არ წაგცდეს, ენავ,

ნაწარმოები სუსტი გულის თქმის! (დაავლებს წიგნს

ხელს ლა ვითომ გატაცებრთ ჰყითხულობს.)

გამოსვლა მესამე. (მგოსანი შემოდის წყნარად
 და შარე-ახლოს დგება მოწიწებით. თამა-
 რი ლილანს ყურადღებას არ აქცევს.)

მგოსანი და თამარი.

თამარი.

აქა უოფილხარ?... თუ ვერ შეგნიშნე,

მიზეზი შენ სარა მე ნუ დამდებ ბრალს;
ამ უქანასკნელს შენს ლექსთა-კონას
ვეღარ გაშორებ ვერც გულს და ვერც თვალს,
დიდი ხანია, — რესთველის შემდებ
აღარ გვისახავს მიგავსი ლექსები:
შეითხეველსაც ისე ააფრთხოების,
როგორც წერის დროს თვით შენ ეგზები...
სიტუაა აზრს თანხმობს, აზრი ლექსით-წერბას,
უველა-ერ ერთად — სულსა და გულსა,
და წამერთხეველი დამწერს უფერებს
გით წინამორბედს და მოციქულსა!

მგოსანი.

გმადლობთ, ბატონი!.. ღირსი არა გარ!
მე არ შემფერის ეგ ზომი ქება.
და მაგას ჩემზედ გათქმევინებთ თქვენ
ჭეშის და გრძნობის მხოლოდ უხვება!
თუ არ ვიცოდი, რომ დაცინებას
ჩემებრ დაბალზედ თქვენ არ იყალრებთ,
სხვას ვითიქრებდი, რადგანაც თვით ლომს
შეუხამებლად ჭარას ადარებთ:
მგრსანსა შობილს დიდებულ ღრმში
და სანეტაროდ მაღლით გამისჭალულს,
როგორ ადარებთ საბრალო შლერალს,
საერთ კვნესით მარად გულ-მოკლულს?
სამხიარულო, სალხინო ხშებით
სამოთხით იუთ რესთველის ქნარი
და ჩემი მხოლოდ სამარის კარზედ
უღერს... ის ჟღვრაა მოთქმა და ზარი...
და თუ ხან-და-ხან, ათასში ერთხელ,

საშნაირულოც წამტდება რამე,
ეს ჭირისუფლის დამილი არჩს;
მხოლოდ წამითი... მოკლე სიამე!

თამარი.

კი, მაგრამ აქ ხომ ტებილი თცნება
შენც იქ მიგაფრენს; გადაგაქვს ქნარი
და რუსთველივით შენც ტრუაბის საგნად
გაშოგისახავს დადი თამარი?
სხვა-და-სხვას დროის დიდი მგრძნები
ეყამათებით ერთსავე თრი,
თუმც სარბიელი შენი და მისი
სხვა-და-სხვა არის—ვერ თანასწორი!
მის შთამგონებელს, ზეაღმმაცებელს
თვალით უჭირეტდა რუსთველი თამარს,
და შენ-კი მხოლოდ თცნების ძალით
ახორციელებ მას, გაშქრალს და მევდარს.

მგოსანი.

მაგას რად ბრქანებთ, აბა, ბატონთ?
განა თამარნი ქვეუნად ბგდებიან?
საუკუნოდან საუკუნოში
ისე, გით მოვარე, გაახლდებან.
მხოლოდ სიკედილის შემდეგ იწება
მათი სიცოცხლე დაუვიწერი
და სათაურანოდ სამარადისოდ
საერთ გულის ეღებათ კარი.
შეცა უთველ წამ თამარი სათხო
თვალ-წინ შეხატვის გამოწეინებული,
იმის კამ მაქვს სულის კვეთება
და მისთვის მიძგეს სიწმინდით გული.

ის არის ჩემი წმინდა წმინდათა
ჩემი სულის დგმა, ჩემი გულის თქმა,
ჩემი არსების გამასპეტაკი . . .
წმინდა შიროსი და ააზშა.

თამარი. (წყენით.)

ცეტავ მეტსნები რა ქმნილება ხართ;
რისგან ხართ მაგრე ახარებული?
თვალსა არიდებთ ამოსულ მოვარეს
და ჩასულ მზისთვის გიღელაჭით გული;
უგა უდგბით დღევანდელ ნათელს,
ოცნებით ასთებთ გამქრალსა ლამპარს,
ნამდვილია სტოვებთ უურადღებოდ
და გულს აუთლებთ გადასულ ზღაპარს.
საკვირველია ბრძანს, უგზო-უქლოს,
გარდაქტეულია სმენად ქმენის ხმის
მგოსანიც ჭმონებს და მის ცრუ ჭანგზე
აუთლებს აზრს და მაღალ-კულის ოქმას.

მეოსანი.

აფრე რომ გახდეს, ჩემთ ხემწიფე,
ქვეუნის წინ სრბოლა შექრდებოდა,
და უგნურება დღევანდელი დღის
ხეალის კანონად დაიდებოდა!
მაგრამ დადადი და ამბოხება
გაურჩეველად ქვეუნად არ რჩება:
შართალი მხოლოდ ფეხსა იყიდებს
და სიზმარივით ტეუჯილი ქრება...
ვითარცა ჟეტი, დათას უარ შეოფი,
ერთმა მამლის ხმაშ კამოაფხილა,

ისე აფხიზლებს ხალხსაც მცირე რამ
და ის მცირეა მგრივობის ძაღა.
და ნუ იფიქრებით, რომე მგრივობა
სხვისი აუთლით ჩანგი აუღერთს
და მისი გული ძალ-დატანებით
შეათამაშოს და ააძგეროს!

თამარი (ნაღვლიანის ღიმილით.)

მაგას მეც გედავ და ეგ სიტუგები
კულსა ხვდებიან მწარე მახვილად!..
ეჭ, თავ-მოუყარევ ადამი შვილო!
სხვისი სამნელო რად გიჩნს ადგილად? (ხან-
გრძლივის სიჩუმისა და
მღელვარების შემღებ,
თავისთვის.)

მეტის გეღარ ვიტან!.. ეს უურს არ უგდებს
კრძალვით წარმოთქმულ სიტუგებს გადაპრულს!.
ვეტევი პირდაპირ!.. ხეადის იმედით
თავ-მოტუუება რას არგებს ბედვრულს. (შგოსანს)
მკურნალო! გრძნობით კანება შიხდილს,
ბუნება აძრულს, მხედავ, ვარ ავად
და სჭობს ერთმანეთს გული გაფუსტაო;
გუთხრათ, რასაც გგრძნილით დაუფარავად.
კმარა ამდენი მაღულობია..
ბეჟოფა თავის მოკატუნება!..
გონება შენი კერძად რომ ურჩობს,
მაღალი გრძნობა რას გეუზნება?

შგოსანი (გაკვირვებით)

მე, დედოფალო...

თამარი.

სხუ! იქ არ არის
 არც დედოფლი და არც მსახური,
 სადაც სხვა ძალა გატემწიფდება,
 უფრო ძლიერი, ვიდრე მეუღური
